ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 29 მარტი, 2023 | №62 (9098) | ფასი: 80 თეთრი

ზურაბ ჩხაიძე: „სააკაშვილი ლანჩული ბიბლიოთეკა აიწონა და 64 კილოგრამს იწონის“

გვ.5

„რესპუბლიკური საავადმყოფოს ათასი თანამშრომელი უმუშევარი რჩება“

გვ.3

ვატო სურგულაძე: „მეტროს ერთი სადგური სამი წელი აშენეს! სამტრედიიდან გრიგოლეთამდე ათი წელია, გზას აკეთებენ და მაინც თავზე ჩამოენგრათ. ესენი თანამედროვე ტექნოლოგიების მქონე საავადმყოფოს ამშენებლები არიან?“

„რუსეთზე მეტად ჩვენი, საკუთარი ხელისუფლება გვებრძვის!“

პაატა მანჯგალაძე: „რუსეთი და მშვიდობა არ არსებობს. ეს გამორიცხულია! რუსეთი მხოლოდ ომთან და მკვლელობასთან არის ასოცირებული“

გვ.2

„ხალხმრავალი აქციები უნდა განახლდეს. სხვა გზა არ ჩანს“

გვ.3

ლაშა ჩხარტიშვილი: „დამოუკიდებელი სასამართლო „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ დასასრულს ნიშნავს“

„რუსეთში ომის მხარდამჭერების რაოდენობა 15%-ს არ აღემატება. მოჩვენებითი მხარდაჭერა სახელმწიფო ძალადობაზე დგას“

რა გადმოიღეს ქართულმა პრორუსულმა ჯგუფებმა პუტინისა და რუსი ნაცისტების იდეოლოგიისგან?

გვ.4

2 ვახტანგ კაპანაძე: „7 თვეა, ბრძოლა მიმდინარეობს ბახმუტისთვის. რუსები ვერაფერში ვეღარ აღწევენ წარმატებას“

5 დიმიტრი ჩიქოვანი „პოსტივის“ შსს-სა და პროკურატურაში უჩივის

2 წულუკიანის შემდეგი მსხვერპლი — ჯვრის მონასტერი

5 ქალმა ნარკობარონი მოხიბლა და შემდეგ პოლიციას ჩააბარა

1993230720223

„რუსეთზე მეტად ჩვენი, საკუთარი ხელისუფლება გვებრძვის!“

პაატა მანჯგალაძე: „რუსეთი და მშვიდობა არ არსებობს. ეს გამორიცხულია! რუსეთი მხოლოდ ომთან და მკვლელობასთან არის ასოცირებული“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი პაატა მანჯგალაძე პასუხობს.

– ბატონო პაატა, როგორ აფასებთ ქვეყანაში განვითარებულ ბოლო პერიოდის პროცესებს? ვისმენთ შეფასებებს, რომ სიტუაცია ფეთქებადსაშიშია. რას ელით, როგორ უნდა განვითარდეს პროცესები, ან ამ დაშინებითა და პოლარიზებით რას მიაღწევს ხელისუფლება?

– „ქართულ ოცნებას“ აქვს სტრატეგია. იცით, რომ რუსეთის არგაღიზიანებითა და სიფრთხილით ხსნიდნენ თავიანთ დამოკიდებულებას რუსეთთან. თუმცა, როდესაც ასეთი შესაძლებლობა გაუჩნდა საქართველოს, რომ არის შანსი, კანდიდატის სტატუსი მიიღოს, ნაცვლად იმისა, პრემიერ-მინისტრი მოსულიყო პარლამენტში და ამ ისედაც მძიმე მდგომარეობაში ელაპარაკა საფრთხეზეც, მაგრამ ასევე ეთქვა, რომ ეს პერსპექტივა არსებობს ქართველებისთვის, უნდა ეთქვა, გავარღვევთ ამ მოჯადოებულ წრეს და ნატოს წევრიც გავხდებით და ევროკავშირისაცო, ამაზე კი არ ილაპარაკა, მესამე მსოფლიო ომი მოხდება, ბირთვული ქვეყანაა რუსეთიო. ფასის გადახდას გვთხოვს ღარიბაშვილი?!

– ისევ დაშინების პოლიტიკა მიმდინარეობს?

– დიახ, დაშინების, მოქალაქეების დათრგუნვის. რუსეთის სტრატეგიაც ხომ ეგ არის, ძალის დემონსტრირებით დათრგუნო სახელმწიფო, მისი მოქალაქეები, რომ ხალხმა იფიქროს, წინააღმდეგობას აზრი არა აქვსო. ჰიბრიდული ომის პირველი ფაზა არის სწორედ მოქალაქეები, რომ ხალხმა უარი თქვას ამ პერსპექტივაზე. სწორედ ამ ჰიბრიდული ომის წარმომადგენელია „ქართული ოცნება“ საქართველოში. რუსეთი კი არა, ჩვენი საკუთარი ხელისუფლება გვებრძვის, საინფორმაციო დივერსიებს გვიწყობს, მედიას ატერორებს. რუსეთზე კი არ ეუბნებიან ხალხს, რომ დიდი საფრთხეა, არა, საფრთხეს დასავლეთი წარმოადგენსო.

– დასავლეთი და ქართული ოპოზიციაო.

– გლობალური ომის ძალებს გვიწოდებენ, გლობალური ომის პარტიებს და ისეთ პრიმიტიულ სურათს ხატავენ, თითქოს ოპოზიცია აწყობს მესამე მსოფლიო ომს. იმას კი არ ამბობენ, უკრაინაში ბავშვებს ვინ ხოცავს. ძალიან არასწორ და არაადამიანურ ტერმინს იყენებს პრემიერი – უკრაინიზაციას, თითქოს უკრაინელები თავის თავს უწყობენ ამ უბედურებებს, იმას კი არ ამბობენ, რუსეთმა რომ მოიტანა ეს უბედურება!

– რა პოლიტიკის გატარებას ცდილობს დღეს „ქართული ოცნება“? თუ ნატო და ევროკავშირი არა, მაშინ რა, რუსეთი?

– ჩვენც სწორედ მაგას ვეკითხებით, რას ეფუძნება „ოცნების“ უსაფრთხოების კონცეფცია, რუსეთის გულის მოგებას?! ხომ ვიცით, რუსული მშვიდობა რაც არის! რუსეთი და მშვიდობა არ არსებობს. ეს გამორიცხულია! რუსეთი მხოლოდ ომთან და მკვლელობასთან არის ასოცირებული. ეს არის ისტორია და ამ ისტორიის გადაწერას აპირებენ.

– ბატონო პაატა, დასავლელი პარტნიორების ვიზიტები გახშირდა ჩვენს ქვეყანაში. ვისმენთ შეფასებებს, რომ ეს სიტუაცია სააკაშვილის მმართველობის ბოლო წლებს ჰგავს. სწორედ ასე დაარწმუნეს მიშაც, რომ ხელისუფლება დემოკრატიული და არჩევნების გზით გადაეგბარებინა. რა ხდება ახლა?

– რაც შეეხება სააკაშვილის მმართველობის პერიოდს, იყო შეცდომებიც, ცალკეულმა ადამიანებმა შესაძლოა დანაშაულიც ჩაიდინეს, მაგრამ ანტიდასავლური რიტორიკა არ ჰქონია. ყველაფერი შეიძლება დააბრალო, მაგრამ მაგას ვერ დააბრალებ. ხელისუფლებაც მშვიდობიანად გადააბარეს. ახლა კი იმის დიდი რისკია, რომ არჩევნების გზითაც არ დათმოს „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლება. რატომ? იმიტომ, რომ მასობრივად გადასული არიან ხალხის საკუთრების, ქონების დატაცებაზე. ყველა ტენდერს მათი ოჯახის წევრები იგებენ. ახლა აქვთ პერიოდი, რომ მაქსიმალურად რაც შეიძლება ბევრი მიისაკუთრონ და მიიტაცონ. მტაცებელი კი ასე ადვილად არ დათმობს. მაგათ ხალხის გასაჭირი არ აინტერესებთ. მათი ფილოსოფიაა, რაც შეიძლება ბევრი იშოვონ, დააგროვონ, მიიტაცონ. ევროპა ჩვენი შვილებისთვის არ უნდათ, თორემ საკუთარ შვილებს სწორედ იქ უშვებენ სასწავლებლად. ღარიბაშვილის არ იყოს, რა კავშირი აქვს ფრანკლინის კლუბს საქართველოსთანო და თავისი შვილი სწორედ ფრანკლინის დაფუძნებულ უნივერსიტეტში, პენსილვანიაში გააგზავნა. მათი შვილები ამერიკის მოქალაქეები არიან, ევროპაში სწავლობენ, იქ იცვამენ. მხოლოდ ჩვენები უნდა ჩაიხრჩონ რუსულ ჭაობში. თავისთვის ნამდვილად არ უნდათ. ჩვენი პარტნიორები ამას ხედავენ. ახლა ყველაზე დიდი შანსი არის სწორედ კანდიდატის სტატუსის მიღება! ჩალის ფასი აქვს კანდიდატის სტატუსსო, ამასაც როგორ უნამუსოდ ამბობენ. კანდიდატის სტატუსის გარეშე არ ხდება ევროკავშირის წევრობა.

– როგორ ფიქრობთ, რამდენად არიან 12-პუნქტიანი გეგმის შემსრულებლები?

– სამი მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ ჩვენ. გიორგი ვაშაძე იყო ევროპაში და ძალიან მაღალი დონის შეხვედრები ჰქონდა. მეორე მიმართულება არის საპარლამენტო წნეხის გაზრდა, მაგრამ ამ კუთხით ბევრს არაფერს ველი და მესამეა ქუჩა!

– აქციები და პროტესტი უნდა იყოს?

გაგრძელება მე-4 გვერდზე

წულუკიანის შემდეგი მსხვერპლი

წულუკიანის შემდეგი მსხვერპლი – ჯვრის მონასტერი – ამ სათაურით აქვეყნებს სტატიას ifact.ge:

– მცხეთის ჯვრის მონასტერი ფასადის გაწმენდას, გამაგრებას, შევსებას და კონსერვაციას საჭიროებს. შესაბამისი პროექტიც მზადაა, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერაც მოწონებულია და საჭირო თანხაც მოძიებულია. თუმცა, კულტურის სამინისტრო პირადი ინტერესის, უფრო სწორად კი პროექტის ავტორზე შურისძიების გამო სამუშაოების დასაწყებად საჭირო ნებართვის გაცემას წელიწადნახევარია აჭიანურებს.

ჯვრის მონასტრის შენობას კი ამ დროში შეიძლება შეუქცევადი ზიანი მიადგეს.

მცხეთის ჯვარი მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია და იუნესკოს მსოფლიო ხელოვნების საგანძურთა ნუსხაში შედის. იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის მისიამ ძეგლი ბოლოს 2018 წელს შეამოწმა და ანგარიშში დაწერეს რომ:

როგორც დიდი, ისე მცირე ტაძრის ფასადის ქვებს პრობლემები აქვს და კონსერვაციაა საჭირო;

უნდა შემოწმდეს შენობის მდგრადობა და წარედგინოს მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ცენტრის საკონსულტაციო ორგანოებს;

უნდა შეიქმნას კედლის ბლოკების მოვლა-პატრონობისა და აღდგენის ვრცელი პროექტი, ასევე სპეციალური პროგრამა ტაძრის ფასადის დანარჩენი ისტორიული რელიეფების შენარჩუნებისა და დაცვისათვის.

ანგარიშის მიხედვით, ტაძარს აქვს იგივე კომპლექსური პრობლემები, რაც გამოვლინდა მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის მიერ ძეგლის წინა შემოწმებისას, 2014 წელს. უფრო კონკრეტულად ეს არის სამშენებლო ქვების გაწმენდის, გამყარების, დამაგრების, შევსების, გამოცვლის და კონსერვაციის პრობლემები.

მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრის საფასადო ქვების კონსერვაციისა და რესტავრაციის პროექტი მოამზადა გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულმა კვლევითმა ცენტრმა. ეს საქართველოს კულტურის სამინისტროს მიმართ დაქვემდებარებული სსიპ-ია. მათ მუშაობისას გაითვალისწინეს საერთაშორისო მისიების მიერ გაცემული რეკომენდაციები.

ჩვენ პროექტის ხელმძღვანელს, დავით ხოშტარიას ვესაუბრეთ. ის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი და ჩუბინაშვილის ცენტრში ძველი ქართული ხელოვნების განყოფილების გამგეა.

– მომზადდა პროექტი, რომელიც წარედგინა შეერთებული შტატების ელჩის კულტურული მემკვიდრეობის ფონდს. გვირჩიეს ორად გაყოფა, პირველი ეტაპი ყოფილიყო საკონსერვაციო პროექტის მომზადება და მეორე ეტაპი ყოფილიყო უკვე ფიზიკური სამუშაოები. ორივე ეტაპი დაფინანსდა ელჩის ფონდიდან, – გვეუბნება ხოშტარია.

მისივე თქმით, პირველი პროექტის ანუ კვლევითი სამუშაოსთვის საელჩოს მიერ ჩუბინაშვილის ცენტრზე გრანტის სახით გაიცა 100.000 აშშ დოლარი. მეორე პროექტის, ანუ უშუალოდ საკონსერვაციო სამუშაოსთვის გამოყოფილი გრანტი კი 506.000 აშშ დოლარია.

რადგან ჯვრის მონასტერი მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლია, საკონსერვაციო პროექტს სამუშაოების ფიზიკურად დაწყებამდე გარკვეული ეტაპები და პროცედურები უნდა გაევლო.

პროექტი თავდაპირველად კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს უნდა დაემტკიცებინა. ასეც მოხდა. პროექტი განიხილეს და დადებითად შეაფასეს სააგენტოს „საქართველოს მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს“ 2020 წლის 4 ნოემბრის სხდომაზე.

ვახტანგ კაპანაძე: „7 თვეა, ბრძოლა მიმდინარეობს ბახმუტისთვის. რუსები ვერაფერში ვეღარ აღწევენ წარმატებას“

– 7 თვემდეა მიდის ბრძოლა ბახმუტისთვის. რუსები 70-ათასიანი დასახლებული პუნქტის ალყაში მოქცევასაც ვერ ახერხებენ, – ამის შესახებ გენშტაბის ყოფილმა ხელმძღვანელმა, „ჯეოქეისის“ მკვლევარმა ვახტანგ კაპანაძემ განაცხადა.

ვახტანგ კაპანაძის განმარტებით, რუსებს ახლა სურთ, ბახმუტში ვაგნერის მიერ მიღწეული გარკვეული წარმატება ბოლომდე მიიყვანონ, რადგან სხვაგან წარმატებას ვერსად აღწევენ.

– თითოეული გოჯი მიწა არის უკრაინული და კბილებით იცავენ. ძალიან წარმატებულადაც ახორციელებენ ოპერაციას. კენიგსბერგი საბჭოთა ჯარებმა აიღესს სამ თვეში, უშუალოდ ქალაქზე იერიში იყო 3 დღე. მესმის, რომ პუტინი არ არის სტალინი, მაგრამ 7 თვემდეა მიდის ბრძოლა ბახმუტისთვის. 70-ათასიანი დასახლებული პუნქტის ალყაში მოქცევასაც ვერ ახერხებენ, თუმცა 75 პროცენტს აკონტროლებენ.

წარმოიშვა მითი ვაგნერის, პრიგოჟინის უძლეველობაზე. ის მაქსიმალურად ცდილობს ამ მითის მიყვანას ბოლომდე. კინოებისა და სერიალების გადაღება დაიწყეს. მითები სჭირდებათ მათ და იყო გარკვეული წარმატებები ვაგნერის მიერ და ეს უნდათ, ბოლომდე მიიყვანონ იმიტომ, რომ ვერაფერში წარმატებას ვეღარ აღწევენ. წარმატებად ხომ ვერ ჩაითვლება, რომ ერთი ქუჩა ან სახლი აიღეს. ყოველი 1 კილომეტრის დაკავებაზეც კი პრემია აქვთ დამატებით 650 დოლარი კონტრაქტორებს, – განაცხადა ვახტანგ კაპანაძემ.

ვახტანგ კაპანაძის განმარტებით, რუსეთის მიერ ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენების შემთხვევაში პასუხი იქნება ძალიან მძიმე.

ასევე, მისი თქმით, რუსეთს ომის გაჭიანურება ხელს აძლევს, რადგან დასავლეთში არჩევნები ახლოვდება და განწყობების შეცვლის იმედი აქვს.

– რუსეთს აწყობს ამ ძიძგილაობის გაგრძელება, რადგან არჩევნები მოდის დასავლეთში. განწყობები შეიძლება შეიცვალოს. დღეისათვის უკრაინა აბსოლუტურად დამოკიდებულია დასავლეთის მხარდაჭერაზე. შესაბამისად, დასავლეთს გარკვეული ბერკეტები გააჩნია უკრაინაზე რაღაცების იძულებისთვის. ამის იმედი აქვს რუსეთს, – განაცხადა ვახტანგ კაპანაძემ.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 იელისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„რესპუბლიკური საავადმყოფოს ათასი თანამშრომელი უმუშევარი რჩება“

ვატო სურგულაძე: „მეტროს ერთი სადგური სამი წელი აშენეს! სამტრედიიდან გრიგოლეთამდე ათი წელია, გზას აკეთებენ და მაინც თავზე ჩამოენგრათ. ესენი თანამედროვე ტექნოლოგიების მქონე საავადმყოფოს ამშენებლები არიან?“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ჯანდაცვის ექსპერტი ვატო სურგულაძე პასუხობს.

– ბატონო ვატო, რესპუბლიკური საავადმყოფოს ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟს მინდა გამოვეხმაუროთ. ექიმები კვლავაც გაფიცული არიან. რის თქმა შეგიძლიათ ამასთან დაკავშირებით?

– საქმე გვაქვს ისევ და ისევ არასახელმწიფოებრივ აზროვნებასთან. ადამიანური და სახელმწიფოებრივი მიდგომის გარეშე ხდება ეს ყველაფერი. ჩემი, როგორც ექიმის, ბიოგრაფია სწორედ რესპუბლიკურ საავადმყოფოში დაიწყო. ძალიან ძლიერი შემადგენლობაა ამ კლინიკაში – ექიმები, ექთნები, ერთ გუნდად შეკრულები. ომი იქნება, მიწისძვრა, კოვიდი თუ ეპიდემია, ყოველთვის რესპუბლიკური იყო ლიდერებში და ტაშს ვუკრავდით სამი წლის წინ. გასაგებია, რომ საავადმყოფო საჭიროებს რეკონსტრუქციას და ეს საინჟინრო საკითხია. პრობლემა ისაა, რომ ე.წ. მინისტრი და პრემიერ-მინისტრი როცა იღებენ ასეთ გადაწყვეტილებას, აბსოლუტურად არ ითვალისწინებენ, რა რისკები მოჰყვება მერე ამ ყველაფერს. ახლა რომ გამოდის მინისტრი და ამბობს, შემდეგ კვირას გავუკეთებ ამ ყველაფერს პრეზენტაციასო, არა, ბატონო მინისტრო, შემდეგ კვირას კი არა, იქამდე უნდა შეხვდე ამ ხალხს, წინასწარ უნდა მოუყვე ამ ყველაფრის შესახებ და სატელევიზიო გადაცემებიდან და სოციალური ქსელებიდან კი არ უნდა იგებდნენ. ათას კაცზე მეტი მუშაობს ამ კლინიკაში და მედპერსონალი ტელევიზიით უნდა იგებდეს, რომ კლინიკის დანგრევას აპირებთ?! იმ ადგილას კი რაღაც ახალი უნდა ააშენოთ ორ წელიწადში. ვერ ააშენებთ ორ წელიწადში! ამის არც შნო გაქვთ, არც ნიჭი და არც შესაბამისი ცოდნა.

– რამდენად არის შანსი, რომ ისევ კლინიკა აშენდება? ამის ეჭვიც არსებობს.

– ეგეც საკითხავია. ააშენებენ კი?! ათას კაცს სად გადაანაწილებენ, რომელ საავადმყოფოებში მოაწყობენ სამუშაოდ?! რომელ კერძო კლინიკას აქვს იმის საშუალება, რომ დამატებით ზედმეტი კადრები მიიღოს?! სახელმწიფო დააფინანსებს? ბიუჯეტში სად დევს ეს თანხა? გამოყოფილია? ყველა მიიღებს კუთვნილ ხელფასებსო. იმაზე მეტი უნდა მიიღონ. შესაძლოა, ლარის ღირებულებამ დაიკლოს. ეს სამი წელი რა ქნან, დისკვალიფიკაცია განიცადონ?! ონკოლოგიურს ზუსტად იგივე არ გაუკეთეს? ავაშენებთ სამ წელიწადშიო. აბა, სადაა აშენებული ონკოლოგიური? ქვა ქვაზე არ არის დარჩენილი. პრაქტიკულად, ბოლომდეა დანგრეული და არაფერი არ კეთდება. ადამიანებთან საუბარი უნდა ისწავლონ, არა ტელევიზიით, არა სოციალური ქსელებით, არამედ უნდა მიხვიდე და უთხრა, აი, ასეთი სიტუაციაა, თქვენი საავადმყოფო უნდა იყოს უფრო თანამედროვე, უფრო კარგი, ვაპირებთ ამას და ამას და ამა და ამ კლინიკებში იქნებით დასაქმებულიო. ეს ყველაფერი წინასწარ უნდა იყოს გაწერილი. ამ ხალხსაც ხომ თავისი პასუხისმგებლობები აქვს, ოჯახები აქვთ, შვილები ჰყავთ, ზოგს სესხი აქვს აღებული და ზოგს რა.

– ამდენი ადამიანი გაურკვეველ სიტუაციაში აღმოჩნდა?

– დიახ, სწორედ ეგაა საქმე. კომუნიკაციის უნარი არ აქვთ, მსგავსი არაფერი შეუძლიათ, მუშაობენ, როგორც ბოლშევიკები. არ უნდა დაეკითხო იმ ხალხს? ეს საავადმყოფო არის საქართველოს მედიცინის ისტორია. გასაგებია, რომ სერიოზული რეკონსტრუქცია სჭირდება პირველ სართულზე და ის, რაც გაკეთებულია, სააკაშვილმა გააკეთა. ბიძინა

ივანიშვილს დააფინანსებინა თავის დროზე. საკმაოდ დიდი თანხები ჩაიყარა მაშინ და ძალიან ბევრი თანხა არამიზნობრივადაც დაიხარჯა. ძალიან ბევრი შეცდომა იყო მაშინაც დაშვებული. კარგი, წარსულს შევეშვათ, მაგრამ, შენ თუ გადაწყვიტე რაღაც, მოდი, ჯერ ამ ხალხს დაელაპარაკე, ყველა პერსონალით, ლიფტიორით დაწყებული, სანიტრითა თუ წამყვანი ექიმით დამთავრებული. იცი, ვის სად ასაქმებ?

– არის იმის შესაძლებლობა, რომ ათასივე თანამშრომელი დასაქმდეს?

– არ არსებობს დღეს ასეთი ადგილი. ამათი დაფინანსების სისტემა არ გვაძლევს საშუალებას, რომ კერძო კლინიკებმა კიდევ თანამშრომლები აიყვანონ. ათას კაცზეა საუბარი, ხუმრობთ? ყველა თავისი სპეციალობით უნდა დასაქმდეს. დავუშვათ, მე მაქვს კერძო საავადმყოფო და არ მჭირდება დამატებითი ქირურგი, იქნებ არა მაქვს ამისთვის გამოყოფილი თანხა. კერძო ბიზნესს ამას ვერ დაავალდებულებ. თუმცა, ესენი ფიქრობენ, რომ ყველას დაავალდებულებენ. ტიპური ბოლშევიკური ქმედებაა.

– რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმები კვლავაც გაფიცული არიან. იცნობთ მათ მოთხოვნებს?

– კი, როგორ არ ვიცნობ, გუშინაც მათთან ვიყავი. ისინი ითხოვენ, შეგვხვდეს პრემიერ-მინისტრი ჯანდაცვის მინისტრთან ერთად, დაგვიხატონ ჩვენი მომავალიო. კონკრეტულად ჩამოწერილი და დროში გაწერილი გეგმა უნდათ, რომ ნახონ. ითხოვენ, ასევე გადადგეს არსებული ხელმძღვანელობა. გუშინ ორი კაცი კი გადადგა, მაგრამ ისინი მაინც ვერაფერს წყვეტდნენ და მათი გადადგომაც არაფერს შეცვლის.

– ანუ არსებულ ხელმძღვანელობასაც არ ჰქონდა მედპერსონალთან კომუნიკაცია და არც მან ჩააყენა საქმის კურსში?

– არ ჰქონია. ვერც ექნებოდა, როცა თვითონაც არა აქვთ ინფორმაცია. რაზე უნდა ესაუბრათ, როცა თვითონაც არაფერი იციან. ზევიდან დაურეკეს და უთხრეს, რომ ასე იქნება.

– რა უნდა გაკეთებულიყო, როგორ შეიძლებოდა ამ პრობლემის მოგვარება?

– საინჟინრო საკითხებში მე ვერ ჩავერევი, მაგრამ ჯერ დაეგეგმათ ყველაფერი. ბოლოს და ბოლოს, ჯერ სხვა ადგილას მაინც ავაშენებდი კლინიკას და ამ ხალხს ჰაერში არ დავტოვებდი. უნდა დალაპარაკებოდნენ ხალხს, იქ მომუშავეებს. მათ გარეშე ასეთი გადაწყვეტილების მიღება არ შეიძლებოდა. ორ წელიწადში ავაშენებთო. კარგით, რა, რის ამშენებლები არიან! მეტროს ერთი სადგური სამი წელი აშენეს! სამტრედიიდან გრიგოლეთამდე ათი წელია, გზას აკეთებენ და მაინც თავზე ჩამოენგრათ. ესენი თანამედროვე ტექნოლოგიების მქონე საავადმყოფოს ამშენებლები არიან? არ დაიჯეროთ.

„ხალხმრავალი აქციები უნდა განახლდეს. სხვა გზა არ ჩანს“

ლაშა ჩხარტიშვილი: „დამოუკიდებელი სასამართლო „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ დასასრულს ნიშნავს“

ნათია ხურცილავა

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი, უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ლაშა, კახა კალაძის განცხადებით, საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ევროინტეგრაციის გზაზე და ის სამართლიანად იმსახურებს ევროპული ოჯახის წევრობას. გამოდის, რიტორიკა შეცვალა?

– კალაძეს ევროკავშირი რუსეთის ფედერაციაში ხომ არ ვრევა. რა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ამ ხელისუფლებამ, სასამართლოს რეფორმა ჩაატარა, სამართლიანი არჩევნების მისაღებად საარჩევნო სისტემა შეცვალა თუ რომელი ერთი მოთხოვნა დააკმაყოფილა იმ 12 პუნქტიდან, რომლებიც ევროკავშირმა დაგვიწესა?!

კალაძის ადგილი ნამდვილად არ არის ევროპაში. კორუფციის, საკუთარი ხალხის არჩევანის წინააღმდეგ წამსვლელების ადგილი ნამდვილად არ არის ევროპაში. თუ არ მოგვცემენ, თავიანთთვის დაიტოვონო, ეგ არ იყო, რომ გვეუბნებოდა?! კონსტიტუციის ჩანაწერს, ხალხის არჩევანს რას უშვრებოდა, როგორც ხელისუფალი?! თუ დაფიქრებულა ამაზე, მაგრამ მისთვის მთავარი ერთი ადამიანისთვის მსახურებაა.

ერთადერთი, რაც დღეს „ქართულ ოცნებას“ აღელვებს, ძალაუფლების მიტაცებაა. ისინი 2024 წელს ძალაუფლების მიტაცებისთვის ემზადებიან. ამისთვის ყველაფერს აკეთებენ. ამიტომ არ უნდათ არც ევროკავშირის სტატუსი და არც ხალხის არჩევანი. მათ იციან, რომ, რუსეთისგან განსხვავებით, ევროკავშირი მოითხოვს რეალურ რეფორმებს, სასამართლოს ისეთ რეფორმას, რომელიც მურუსიძეს, გირგვლიანის მოსამართლეს, რომელზეც სტრასბურის სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, სამუდამოდ კი არ გაამწესებს, არამედ ყველა უღირს მოსამართლეს სახლში გაუშვებს და ღირსეულ ხალხს მისცემს შანსს, რომლებიც ნამდვილად შექმნიან დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სისტემას, მაგრამ ეს არაფერში არ აწყობს ხელისუფლებას.

დამოუკიდებელი სასამართლო ნიშნავს „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ დასასრულს. ესენი კი დასასრულისთვის კი არა, სამუდამოდ ყოფნისთვის იბრძვიან. ამიტომაც ვართ ამ მდგომარეობაში.

მეორე საკითხი, რომელიც 12-პუნქტიან რეკომენდაციაშია მოცემული, საარჩევნო სისტემას ეხება. ვინ დაიჯერებს, რომ „ქართული ოცნება“ საარჩევნო სისტემას შეცვლის. ამ ზღაპრების მხოლოდ საპარლამენტო ოპოზიციას სჯერა.

7-8-9 მარტის აქციებმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ „ქართული ოცნება“ მხოლოდ მასობრივ აქციებზე რეაგირებს. ჯერ ვერ მიდიან ხალხის, დიდი მასების მოთხოვნის წინააღმდეგ. ამიტომ მე გამოსავალს მხოლოდ ქუჩის მასობრივ პროტესტში, გამოსვლებში ვხედავ. „ქართულ ოცნებას“ მხოლოდ ხალხის ზეწოლით თუ ვაიძულებთ, შეცვალოს თავისი განზრახვა.

– რა განზრახვა?

– ყველაფერი გააკეთოს იმ მიზნის მისაღწევად, რომელსაც ძალაუფლების მიტაცება ჰქვია. ამიტომ ის არ შეცვლის საარჩევნო სისტემას. სამართლიანი არჩევნები ხელისუფლებას არაფერში არ აწყობს.

საპარლამენტო ოპოზიციამ დაივიწყოს ფიქრი იმაზე, რომ კომიტეტებიდან შეცვლიან ამ ქვეყანაში რეალობას და ამ ქვეყანას უკეთეს მომავალს პარლამენტის დერეფნებიდან მოუტანენ. ბევრი მათგანი აქციების გაგრძელების წინააღმდეგ გამოვიდა. ძალიან მაინტერესებს, სამართლიანი არჩევნების მიღწევას საარჩევნო კოდექსზე პუნქტობრივი გავლით აპირებენ კობახიძესთან თუ მდინარაძესთან?! რომელს დაიყოლიებენ?! იქნებ ეს პრეტენზიაც აქვთ?! ან დაავიწყდათ, რომ ამ ხალხს ნერვის აუტოკებლად შეუძლია, მთელი ევროკავშირი „გადაადგოს“. დიახ, ერთ მშვენიერ დღეს გამოვიდეს და თქვას, ჩვენ ჩვენი გავინაღდეთ, ახლა არაფერში არ გვჭირდება შეთანხმება და შეთანხმებიდან გავდივართო. ხომ არავის არ დაავიწყდა ეს ეპიზოდი.

უნდა განახლდეს ხალხმრავალი აქციები და უნდა დადგეს ვადამდელი არჩევნების საკითხი ან სამართლიანი საარჩევნო სისტემა უნდა მოვითხოვოთ. სხვა გამოსავალი, უბრალოდ, არ ჩანს.

„ქართულ ოცნებას“ მხოლოდ ორი ამოცანა აქვს. ერთი – როგორმე, ყველა გზით შეინარჩუნოს ძალაუფლება სამუდამოდ და მეორე – ხალხის ხარჯზე ფული აკეთოს, რისი მორიგი მაგალითიც რესპუბლიკურ საავადმყოფოში მიმდინარე პროცესებია.

– რეფორმებით, საავადმყოფოს განახლებით ხსნიან იქ მიმდინარე მოვლენებს, ასევე აცხადებენ, რომ ყველა პერსონალი შენარჩუნდება. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?

– არავითარი რეფორმა. ათეულობით მილიონი ლარი წყალში უნდა გადაყარონ. ხომ ჩატარდა საავადმყოფოს განახლება. ექიმთა კორპუსი უნდათ, ქუჩაში დატოვონ, იმ ადგილზე კი ახალი ბეტონის ქალაქის აშენება სურთ, ისევე, როგორც დელისის მეტროსთან ე.წ. პროფკავშირების სახახლის ადგილზე ორი ცათამბჯენის აშენება. ეს არ ემსახურება ხალხის ინტერესებს. ეს ბიზნესჯგუფების კორუფციულ ინტერესებს ემსახურება.

გორში ერთ-ერთი კორპუსის სხვენში მამაკაცის ცხედარი იპოვეს

გორში, კომბინატის დასახლებაში, საცხოვრებელი კორპუსის სხვენში მამაკაცის ცხედარი იპოვეს. არსებული ინფორმაციით, მამაკაცი უსახლკარო იყო.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ირაკლი კობახიძე: „მიხეილ სააკაშვილი და ნიკა გვარამია მძიმე დანაშაულებში არიან მხილებულნი“

„ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე ამტკიცებს, რომ „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია სასჯელს არა ავტომობილის მოხმარებისთვის, არამედ „რუსთავი 2“-ის 7 მილიონით გაძარცვისთვის იხდის. გარდა ამისა, როგორც კობახიძემ ჟურნალისტებთან თქვა, ევროკომისიის 12-პუნქტიანი გეგმის ნაწილი პოლიტპატიმრების გათავისუფლება არ არის და ამაზე საუბარი „პრინციპულად არასწორია“.

– რაც შეეხება დამნაშავეების გათავისუფლებას, ეს არ არის 12– პუნქტიანის შემადგენელი ნაწილი და, აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ამაზე საუბარი არის პრინციპულად არასწორი. (მიხეილ სააკაშვილი და ნიკა გვარამია) ერთიც და მეორეც არიან დამნაშავეები. ისინი არიან მხილებული მძიმე დანაშაულებში. გვარამია არ არის დაჭერილი ავტომობილის მოხმარებისთვის, ის არის დაჭერილი საკუთარი ყოფილი ტელეკომპანიის 7 მლნ-ით გაძარცვისთვის, – თქვა კობახიძემ.

შეგახსენებთ, რომ 2022 წლის 16 მაისს მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძემ „მთავარი არხის“ გენერალურ დირექტორ ნიკა გვარამიას 3 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა.

„რუსეთში ომის მხარდამჭერების რაოდენობა 15%-ს არ აღემატება. მოჩვენებითი მხარდაჭერა სახელმწიფო ძალადობაზე დგას“

მარიამ მჭედლიშვილი

რა გადმოიღეს ქართულმა პრორუსულმა ჯგუფებმა პუტინისა და რუსი ნაცისტების იდეოლოგიისგან?

საქართველოში მონავარდე პრორუსული ჯგუფებისა და პირების უმრავლესობა ეროვნული და პატრიოტული განწყობებით ინიღბება. ისინი გამოხატავენ თაყვანისცემას საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერების, ერის მამების მიმართ, იმავდროულად, თაყვანს სცემენ საბჭოთა ბელადებს. ყველანი გულმოდგინედ ლანძღავენ დასავლეთსა და ლიბერალიზმს. მათთვის დასავლეთის ყველა წარმომადგენელი და დასავლეთის მიერ თუნდაც მცირედით დაფინანსებული ორგანიზაციაც აგენტია. ზოგიერთი მათგანი დაუფარავად, ზოგი კი შეფარულად მიესალმება რუსეთის ფართომასშტაბიან ომს უკრაინაში და რუსეთის მხარე უკავია.

ქართველი პრორუსები იმეორებენ რუსეთში დამკვიდრებულ იდეოლოგიებს, მათ შორის, სრული ჰარმონია აქვთ პუტინიზმთანაც და რუს შავრაზმელებთანაც, რომლებიც ნაცისტურ და ევრაზიული ერთიანობის იდეებს მისდევენ. როგორია პუტინის ნაციონალიზმი? ემყარება თუ არა მას უკრაინაში გაჩაღებული ომი? რა განსხვავებაა პუტინის ნაციონალურ იდეოლოგიასა და რუს შავრაზმელ-ნაცისტებს შორის? ამაზე რადიო „თავისუფლების“ რუსულ სამსახურს ესაუბრა ბრემენის უნივერსიტეტის აღმოსავლეთი ევროპის შემსწავლელი ცენტრის მეცნიერი ნიკოლაი მიტროხინი. 20 წლის წინ მან დაწერა და გამოსცა წიგნი „რუსული პარტია. რუსი ნაციონალისტების მოძრაობა სსრკ-ში. 1953-1985 წლები“.

– სად არის ახლანდელ ომში რუსეთის ნაციონალისტების ადგილი? რუსეთის ჯარები დონბასში არიან, კიევის აღება მათი ნატვრაა. ეს რუსული პარტიის ოცნებაა თუ სხვა რამ?

– რუსული ნაციონალიზმი საკმაოდ ფართო მოძრაობაა, რომლის წარმომადგენლებს სხვადასხვა ოცნება ჰქონდათ. ამჟამად ხდება იმის რეალიზება, რაც დაგეგმილი ჰქონდათ პუტინსა და მედვედევს. პუტინმა მინიმუმ ორჯერ უწოდა საკუთარ თავს კარგი და ეფექტიანი რუსი ნაციონალისტი. იგივე უწოდა მან მედვედევსაც.

პუტინის საქმიანობაში არ ყოფილა რუსული პარტიისათვის დამახასიათებელი ანტისემიტიზმი. პუტინსა და მედვედევს ანტისემიტიზმი არ ახასიათებთ. უფრო მეტიც, მედვედევი წარმოშობით დიდწილად ებრაელია.

ტრადიციულ რუსულ ნაციონალიზმს, რომელიც ქსენოფობიური და ეთნიკურია, არაფერი აქვს საერთო იმასთან, რაც უკრაინაში ხდება.

– შავრაზმულ ნაციონალიზმს რა მოუვიდა? მისი მარგინალიზაცია მოხდა?

– ის გადაიზარდა „მიზანტროპიკ დივიჟენში“. თავიდან პირობითი რუსული პარტიისგან გაჩნდა „პამიატი“, რომლისგან წარმოიშვა ბარკაშოვის „რუსული ნაციონალური ერთიანობა“. ეს ორგანიზაცია დაიშალა სხვადასხვა ჯგუფად. გაჩნდნენ ნეოფაშისტური ორგანიზაციები, მაგალითად, ხსენებული „მიზანტროპიკი“.

– ახლანდელ ომში ძველი რუსი ნაცისტებისაგან რაიმე გადმოვიდა?

– რუსი ნაცისტების ნაწილი უკრაინაში გაიქცა და ახლა რუსეთის წინააღმდეგ იბრძვის. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც 2014 წელს დონბასისთვის საბრძოლველად წავიდნენ.

ახლანდელი ომი წამოიზარდა იმ იდეოლოგიიდან, რომელსაც ახმოვანებდნენ „ნაციონალ-ბოლშევიკური პარტია“, ასევე – ჟირინოვსკი. რეალურად, ეს საბჭოთა, ასევე რუსი მილიტარისტების იდეოლოგიაა. ეს იდეოლოგია მყარად იყო და არის დამკვიდრებული განსაკუთრებულ დანაყოფებში – სპეცდანიშნულების რაზმებში, საზღვაო ჯარში, მესაზღვრეებში და სხვა. ამ ხალხს ეძლევა სოციალური გარანტიები, ასევე იმის უფლება, რომ ასწავლონ ადამიანებს, რა არის სახელმწიფო და რისთვის ვცხოვრობთ.

– არსებობს ასევე კასტა, რომელიც ევრაზიულობის იდეოლოგიას ქადაგებს. „რუსული სამყაროც“ აქედან ჩამოყალიბდა?

– ამ იდეოლოგიის თანახმად, რუსეთში ჩამოსული ნებისმიერი უცხოელი ჯაშუშია. ემიგრანტები, ოპოზიციონერები, დისიდენტები დაკავშირებული არიან უცხოელებთან, რომელთა მიზანია, დაანგრიონ რუსეთის წმინდა საზღვრები და დაამონონ ხალხი. ეს არის სიჩლუნგე და პრიმიტივიზმი, მაგრამ ამ ყველაფრისგან წარმოიშვა იდეოლოგიური პუტინიზმი.

– ბელარუსის „კგბ“-ც რუსი სპეცრაზმელებისა და მესაზღვრეების იდეოლოგიას იყენებს?

– დიახ. ეს ერთ-ერთი მძიმე შემთხვევაა. ისინი არიან „გრუ“-ს წარმომადგენლები მარიინსკაია გორკიდან. პირები, რომლებმაც მარიინსკაია გორკა გაიარეს, უსასტიკესები არიან. ეს არის „გრუ“-ს მოსამზადებელი ბაზა. ლუკაშენკოს სტრატეგია იმით გამოიხატება, რომ ბელარუსში საკვანძო პოზიციებზე დააყენოს ყოფილი სამხედროები. ლუკაშენკოს მექანიზმი რუსეთში დამკვიდრებული პრაქტიკის ვარიანტია.

– ახლანდელი ნაციონალიზმი რუსეთში სხვანაირია?

– ეს არის რუსული მილიტარიზმი ან მილიტარიზებული რუსული ნაციონალიზმი, ანუ რუსეთის სამხედროების ნაციონალიზმი.

– ესე იგი რუს ერს არა აქვს თვითრეალიზაციის, პოლიტიკურ ერად ჩამოყალიბების შანსი? აღარაფერს ვამბობ სამოქალაქო სახელმწიფოს შექმნაზე.

– არა ვარ დარწმინებული, რომ რუსი ნაციონალისტები გამოხატავენ რუსების ინტერესებს. მათი ელექტორალური მხარდაჭერის დონე ხშირად ნახევარი პროცენტია.

– ომის იდეის მხარდამჭერები არსებობენ. „რუსულ სამყაროსაც“ მიმდევრები ჰყავს. ამაზე ფართო მოთხოვნაა?

– რუსეთში ომის მხარდამჭერების რიცხვი 10-15%-ს არ აღემატება. მოჩვენებითი მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან პირდაპირ ძალადობაზე დგას.

ლევან ხაბეიშვილი: „ნორვეგიის ელჩის საგარეო საქმეთა სამინისტროში დაბარება, რაც დღეს იკადრეს, სერიოზული სირცხვილია“

ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილის სირცხვილს უწოდებს საგარეო საქმეთა სამინისტროში ნორვეგიის ელჩის დაბარებას, რომელიც ნორვეგიული ოპოზიციური პარტიის მხრიდან მიხეილ სააკაშვილისთვის ჯილდოს გადაცემას ეხებოდა.

ლევან ხაბეიშვილმა მიმართა ხელისუფლებას, „რომ პირი გამოირეცხონ ხოლმე, ვიდრე სააკაშვილს ახსენებენ“.

– ჩვენს ქვეყანას უამრავი პრობლემა აქვს, დაწყებული ოკუპაციით, გაგრძელებული მავთულხლართების გავლით, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი უნდა მივიღოთ და რუსული ოცნება ყველაფერს აკეთებს ამის საბოტაჟისთვის. შემოიტანეს რუსული კანონი, რაც ქართველმა ხალხმა, განსაკუთრებით ახალგაზრდებმა ფაქტობრივად დააღეჭვინა ირაკლი ღარიბაშვილს, ბიძინა ივანიშვილს და რუსულ მთავრობას. ასევე, ქვეყანაში უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებია.

იმის ნაცვლად, რომ ამ პრობლემების მოგვარებაზე ფიქრობდეს რუსული ოცნება, მათ ანერვიულებთ პრეზიდენტ სააკაშვილის ჯილდო, რომელიც ნორვეგიელებმა გადასცეს და სხვათა შორის, ძალიან მნიშვნელოვანი ჯილდოა, რომელიც უახლოეს პერიოდში მიღებული აქვს მაია სანდუს. დღეს ჩვენ ვნახეთ რუსული პარტიის, რუსული ოცნების არაადეკვატური დამოკიდებულება, რომელმაც ნორვეგიის ელჩი დაიბარა იმისათვის, რომ ახსნა-განმარტება გაეკეთებინა სააკაშვილისთვის ჯილდოს გადაცემის შესახებ და ეს ჯილდო არის დემოკრატიის განვითარებისთვის, რომელიც პრეზიდენტ სააკაშვილს გადაეცა.

რაფალიანცის, თათუხაშვილის, ბაჩალიაშვილის, მაჩალიკაშვილის, კორტავას, ფარტენაძის მკვლელები საუბრობენ სხვა ადამიანის უფლებების დარღვევაზე. „ჯალათია“, რომელიც გელათს ანგრევს, ჯვრის მონასტერი დასანგრევად გაიმეტა და ამასობაში, რუსულმა ოცნებამ ააფეთქა საყდრისი, რაჭის ტყე მისცეს რუს ოლიგარქს, ეს ხალხი საუბრობს პრეზიდენტ სააკაშვილზე, ნაცვლად იმისა, რომ პირი გამოირეცხონ ხოლმე, ვიდრე სააკაშვილს ახსენებენ. როდესაც ეს ხალხი ხელისუფლებაში აღარ იქნება, არათუ ნორვეგიელებს ან რომელიმე ქვეყანას, არამედ არავის გაახსენდება და საზოგადოებას უცებ შევახსენებ, აბა გაიხსენებთ, რუსული ოცნების პრემიერ-მინისტრები. თქვენ, სახელი და გვარის გახსენებაც კი გაგიჭირდებათ, არათუ ჩვენ ევროპელ კოლეგებს. პრეზიდენტ სააკაშვილს კი, რომელიც ამ პირობებში პუტინის ტყვეობაშია, მხარს უჭერს პრეზიდენტი ზელენსკი, ასევე პუტინთან მებრძოლი მთავარსარდალი, პოლონეთის პრეზიდენტი დუდა, პოლონეთის სეიმი, ლიტვა, ესტონეთი. საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმაც გააკეთა სააკაშვილის გათავისუფლების შესახებ განცხადება, – განაცხადა ხაბეიშვილმა.

მისი თქმით, „რუსული ოცნების“ პარტნიორები არიან სალავიოვი, მარგარიტა სიმონიანი, პუტინი, ლავროვი, ხოლო ევროპულ ქვეყნებში სხვა მოკავშირე მათ არ ჰყავთ.

– შესაბამისად, ის, რაც მათ იკადრეს სერიოზული სირცხვილია, როდესაც ნორვეგიის ელჩი ამის გამო დაიბარეს, – განაცხადა ხაბეიშვილმა.

ამასთან, მან სააკაშვილის ჯანმრთელობის შესახებ სახალხო დამცველს მიმართა, რათა სააკაშვილთან კონსილიუმის შესვლა სასწრაფოდ უზრუნველყოს.

დმიტრო კულება: „უკრაინაზე მეტად მშვიდობა სხვა არცერთ ერს არ სურს, მაგრამ მშვიდობა ნებისმიერ ფასად ილუზიაა“

– უკრაინაზე მეტად მშვიდობა სხვა არცერთ ერს არ სურს, მაგრამ მშვიდობა ნებისმიერ ფასად ილუზიაა, – ამის შესახებ უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა დმიტრო კულებამ აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის მიერ ორგანიზებულ „დემოკრატიის სამიტზე“ ონლაინ სიტყვით გამოსვლის დროს განაცხადა.

კულებამ ბოდიში მოიხადა, რომ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ სამიტზე გამოსვლა ვერ შეძლო, ვინაიდან ქვეყნის ფრონტის ხაზთან ახლოს მდებარე რაიონებს სტუმრობს.

– თუმცა რუსეთი ცდილობს, უკრაინა გაანადგუროს, მისი აგრესია არა მხოლოდ უკრაინას ეხება. რუსეთის ფედერაცია ცდილობს მსოფლიო წესრიგის დაშლას, რომელიც საერთაშორისო სამართალსა და გაეროს ქარტიაზეა დაფუძნებული. 9 წელზე მეტი ჩვენი საუკეთესო შვილები არა მხოლოდ მომავლისთვის იბრძოდნენ, არამედ საკუთარი სიცოცხლის ფასად ჩვენს საერთო დემოკრატიულ ფასეულობებს იცავდნენ. ამ ბრძოლაში ჩვენ მთელ დემოკრატიულ სამყაროს ვიცავთ, – განაცხადა კულებამ.

მან აღნიშნა, რომ გრძელვადიანი მშვიდობის გარანტირება მხოლოდ ყოვლისმომცველ სამართლიანობას შეუძლია.

– ხაზგასმით აღვნიშნავდი, რომ უკრაინელი ერი მშვიდობას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ გარანტირებული იქნება რუსული აგრესიის სრული შეწყვეტა, რუსული ჯარების სრული გაყვანა უკრაინის ტერიტორიიდან და ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. უკრაინული „მშვიდობის ფორმულა“ მოიცავს ომის დასრულების ყველა ამ სამართლიან პირობას, – განაცხადა კულებამ.

„რუსეთზე მეტად ჩვენი, საკუთარი ხელისუფლება გვებრძვის!“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– დიახ, როგორც რუსულ კანონთან დაკავშირებით მარტივად ავუხსენით ხალხს, რა ხდებოდა, ასევე უნდა ავუხსნათ ამ 12-პუნქტიან გეგმასთან დაკავშირებით. საბოტაჟი ევროპული კურსის, მარტო რუსული კანონის მიღებით კი არ ხდებოდა, ასევე დეოლიგარქიზაცია რომ არ ხდება, სასამართლო რეფორმა რომ არ არის, მედიასთან დაკავშირებული საკითხები რომ არ რეგულირდება, მათ შორის გვარამიას თემა, ესეც მნიშვნელოვნად უშლის ხელს. მე ვაპირებ, პარლამენტში როცა დავაყენებთ ამ საკითხს, კოორდინაცია იყოს ოპოზიციაში, რომ შემდეგ ხალხს ვუთხრათ და მათთან ერთად შევძლოთ ეს ყველაფერი. ასე უნდა მოვახდინოთ ზეწოლა, თორემ ასე მარტივად ასეთი ტიპის რეჟიმები ხელისუფლებას არ თმობენ. არ წავლენ ასე იოლად.

– დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონს მიუბრუნდა უმრავლესობა. ამ კუთხით რას ელით?

– გულუბრყვილოები უნდა ვიყოთ, რომ ვთქვათ, „ქართულმა ოცნებამ“ მიიღოს ისეთი კანონი, რომელიც ბიძინა ივანიშვილს არაფორმალურ მმართველობასა და ოლიგარქიულ გავლენებს ჩამოაშორებს. ეს გამორიცხულია, არ არსებობს! რამდენჯერაც ვკითხე განხილვებზე, პირდაპირ ამბობენ, რომ ეს ბიძინაზე არ გავრცელდება. დანარჩენი ყველაფერზე შეიძლება გავრცელდეს, მათ შორის ბიძინას ზებრაზეც, მაგრამ ბიძინაზე გამორიცხულია!

– ბატონო პაატა, პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა მკვეთრად შეიცვალა პოზიციაო, ვისმენთ ასეთ შეფასებებს და, როგორ გგონიათ, არის თუნდაც იმის შანსი, რომ ნიკა გვარამია ან მიხეილ სააკაშვილი შეიწყალოს?

– ამ ეტაპზე რაიმე კარდინალურ ნაბიჯებს არ ველი. ერთს, რასაც ვამჩნევ, არის შემდეგი: პრეზიდენტი ხვდება, რომ არ უნდა, ჩასაძირად გამზადებულ „ქართულ ოცნებას“ ჩაჰყვეს. ამას ნამდვილად ვხვდები, მაგრამ მხოლოდ განცხადებები არ არის საკმარისი. პრეზიდენტმა რომ თქვა, ბიძინა არის ოლიგარქია, ეს არის ნახევარი სიმართლე, ნახევარი ნაბიჯი. იცით, როდის დავიჯერებდი მის გულწრფელობას? თუ ახსნიდა, ოლიგარქია და არაფორმალური მმართველობა რატომ ეღობება ევროპის გზაზე საქართველოს. დღეს ყველა მინისტრი, პრემიერ-მინისტრი, დეპუტატები, ანგარიშვალდებულებას ქართველ ხალხთან კი არა, მხოლოდ ერთ კაცთან, ბიძინა ივანიშვილთან გრძნობენ. შესაბამისად, მთელი სახელმწიფო მანქანა მუშაობს არა ხალხის კეთილდღეობაზე, არამედ ბიძინა ივანიშვილის მილიარდების გამოხსნასა და ივანიშვილის უსაფრთხოებაზე! აი, ეს უნდა შეიცვალოს.

– ბატონო პაატა, ვადამდელი არჩევნების საკითხი აქტუალურია. ამასთან დაკავშირებით რას იტყვით, არის ახლა ამისთვის შესაფერისი სიტუაცია?

– არ იფიქროს ვინმემ, რომ „სტრატეგია აღმაშენებელი“ წინააღმდეგი იყოს ვადამდელი არჩევნების. კარგი იქნებოდა გუშინაც, კარგი იქნება დღესაც, ხვალაც, მაგრამ საკითხი უნდა დავაყენოთ შემდეგნაირად: თუ ევროპელები აძლევენ ოქტომბრამდე ვადას რეკომენდაციების შესასრულებლად და ყველა ევროპელი ლიდერი ამბობს, რომ დრო კიდევ არის, ახლა რომ გამოვიდეთ და ვთქვათ, ჩვენ ვიცით, რომ მაინც არ შეასრულებენ და რეკომენდაციების შესრულება კი არ ვაიძულოთ, მოდი, გადავაყენოთო, ეს სწორი იქნება? გაიგებს მოსახლეობა ამას?

– ისევ ოპოზიციას დაჰბრალდება.

– დიახ, მოგვიბრუნდებიან და გვეტყვიან, თქვენი ბრალია, არ აცადეთ რეკომენდაციების შესრულება და ამიტომ ჩავარდა კანდიდატის სტატუსის მიღებაო. ახლა თან ვადამდელი ვიძახოთ და თან რეკომენდაციების შესრულება ვაიძულოთ, ასე არ გამოვა. ვინც უნდა შეაფასოს და ვინც სტატუსი უნდა მოგვცეს, იმ ხალხმა მისცა ვადა „ოცნებას“ ოქტომბრამდე. ოქტომბერს რაც შეეხება, პირდაპირ ვამბობ, თუ ოქტომბერში მტკიცებულება გვექნება, რომ კანდიდატის სტატუსს ვერ მივიღებთ, მერე მკაცრად უნდა აგოს პასუხი ხელისუფლებამ და ხალხს ყველაფრის უფლება ექნება. პასუხს აუცილებლად მოვთხოვთ. ეს ჩვენი ისტორიული შანსია და არ მივცემთ ამ შანსის დაკარგვის უფლებას!

დიმიტრი ჩიქოვანი „პოსტივის“ შსს-სა და პროკურატურაში უჩივის

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრ დიმა ჩიქოვანის ადვოკატი ჩიქოვანის წინააღმდეგ ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლისთვის სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მხრიდან გამოძიების დაწყებას გამოეხმაურა.

ბექა ბასილაიას თქმით, 24 ივლისს ღამით ჩიქოვანის სახლთან მომხდარი არ იყო ჟურნალისტზე ძალადობა და მის საქმიანობაში ხელშეშლა. როგორც ბასილაიამ აღნიშნა, ჩიქოვანი მზადაა, გამოძიებასთან ითანამშრომლოს.

– გვინდა გამოვეხმაუროთ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის განცხადებას გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლასთან დაკავშირებით. ამ თავითვე ვაცხადებთ, ვემიჯნებით და ვგმობთ ნებისმიერ ძალადობას, ვემიჯნებით და ვგმობთ ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლის ნებისმიერ ფაქტს და კარგად გვესმის, რომ ეს ქართველი საზოგადოებისთვის სერიოზული გამოწვევაა. თუმცა ფაქტები, რის ირგვლივაც გამოძიება დაიწყო სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, ნამდვილად არ შეიცავს რაიმე მსგავსი დანაშაულის ნიშნებს და ჩვენ მზად ვართ, ვითანამშრომლოთ გამოძიებასთან, მივცეთ ჩვენება და ავხსნათ დეტალურად, რომ ეს იყო არა ჟურნალისტზე ძალადობა, არა ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლა, არამედ ეს იყო ბინაში უკანონოდ შეჭრის მცდელობის აღკვეთა, – თქვა ბექა ბასილაიამ.

რაც შეეხება POS TV-ის ჟურნალისტის, ნათია ბერიძის ბრალდებას, თითქოს დიმა ჩიქოვანმა თათია სამხარაძე გაიტაცა, როგორც ცნობილია, ჩიქოვანი აპირებს, რომ ცრუ დასმენისთვის POS TV-სა და ნათია ბერიძის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანოს.

– გავიარე კონსულტაციები ჩემს ადვოკატებთან და შევიტან სარჩელს გენერალურ პროკურატურაში და შს სამინისტროში „პოსტივის“ წინააღმდეგ, – თქვა დიმიტრი ჩიქოვანმა.

სოსო გოგაშვილის საქმეზე სასამართლო განაჩენს, სავარაუდოდ, 4 აპრილს გამოაცხადებს

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილის სოსო გოგაშვილის საქმეზე სასამართლო განაჩენს, სავარაუდოდ, 4 აპრილს გამოაცხადებს.



პროცესზე დაცვის მხარემ დასკვნითი სიტყვა წარმოთქვა. სიტყვით ისარგებლა თავად ბრალდებულმა ყოფილმა მაღალჩინოსანმაც, თუმცა ის საბოლოო სიტყვას მომდევნო სხდომაზე წარმოთქვამს.

გოგაშვილის ადვოკატ რამაზ ჩინჩალაძის განცხადებით, გოგაშვილი ყველა წარდგენილ ბრალდებაში უდანაშაულოა და ყველა ბრალდება პოლიტიკურ მოტივებს ეფუძნება.

როგორც საქმის პროკურორი მაია სილაგაძე აცხადებს, მტკიცებულებებით ბრალად წარდგენილი დანაშაული დასტურდება, ის არგუმენტები და ფაქტები, კი რაზეც დაცვის მხარემ ისაუბრა, გამოკვლეული მტკიცებულებებით არ დასტურდება.

ცნობისთვის, სოსო გოგაშვილს ბრალი ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 320-ე მუხლის პირველი ნაწილით (სახელმწიფო საიდუმლოების განზრახ გახმაურება) „157 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით (პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვება და შენახვა); 333-ე მუხლის პირველი ნაწილით (მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია), 157-ე მუხლის მე-4 ნაწილით (პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვება, შენახვა, გავრცელება მასობრივი მაუწყებლობის მეშვეობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) და 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა).

წარდგენილი ბრალდებები სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების აღკვეთას ოთხიდან შვიდ წლამდე ვადით ითვალისწინებს.

ცხვარიჭამიაში 20 წლის მირიან კუკავას მკვლელობისთვის ბრალდებულს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა



პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, სოფელ ცხვარიჭამიაში ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის ბრალდებულს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

ამის შესახებ ინფორმაციას გენერალური პროკურატურა ავრცელებს.

– მცხეთის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და მირიან კუკავას განზრახ მკვლელობისთვის ბრალდებული დამნაშავედ ცნო. სასამართლომ ასევე, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი ხულიგნობისთვის ორი პირი ცნო დამნაშავედ.

პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2022 წლის 28 ივლისს მცხეთის რაიონის სოფელ ცხვარიჭამიაში დაბადების დღის წვეულებაზე სტუმრების ნაწილს შორის მომხდარი დაპირისპირების დროს ერთ-ერთმა ბრალდებულმა დანით ჭრილობები მიაყენა მირიან კუკავას, რომელიც საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. ასევე, გამოძიებამ დაადგინა მირიან კუკავას განზრახ მკვლელობამდე მომხდარი დაპირისპირების მონაწილე სხვა პირები, რომლებმაც მირიან კუკავას და მის მეგობრებს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

განზრახ მკვლელობაში ბრალდებულ პირს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე (განზრახი მკვლელობა), 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მესამე ნაწილით (ხულიგნობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, იარაღის ან იარაღად სხვა საგნის გამოყენებით), ხოლო ორ პირს – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ხულიგნობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ) წარედგინათ.

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ სამივე პირი დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებებში და სასჯელის სახედ და ზომად – განზრახ მკვლელობაში ბრალდებულ პირს – თოთხმეტი წლის ვადით, ხულიგნობის ფაქტზე ბრალდებულებს კი სამი წლითა და ექვსი თვით და ორი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

?აქვე, საზოგადოებას შევახსენებთ, რომ აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე, ხულიგნობის, ცრუ ინფორმაციის მიწოდების და დანაშაულის შეუტყობინებლობის ჩადენისთვის ბრალდებული სხვა პირების საქმის განხილვა სასამართლოში გრძელდება, – ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ზურაბ ჩხაიძე: „სააკაშვილი დღეს აიწონა და 64 კილოგრამს იწონის“

კლინიკა „ვივამედის“ დირექტორ ზურაბ ჩხაიძის განცხადებით, დღეისთვის საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 64 კილოგრამსა და 400 გრამს იწონის. ჩხაიძის განმარტებით, ეს, წინა მონაცემთან შედარებით, გაუმჯობესებული წონაა.

ამასთან, როგორც კლინიკის დირექტორი აცხადებს, მიხეილ სააკაშვილი უარს ამბობს სამკურნალო დანიშნულების მიღებაზე.

– ეს არის პაციენტის პირადი ინფორმაცია. პირადი ინფორმაციის საჯაროდ დასახელება მერე, რა თქმა უნდა, იწვევს სხვადასხვა რეაქციას პაციენტის მხრიდან. ეს აისახება მკურნალობასთან დამოკიდებულებაზე, ექიმების მიმართ დამოკიდებულებაზე. დღეს შემიძლია დავასახელო წონა და ამის შემდეგ ნუ დავასახელებთ ამ რიცხვებს, იმიტომ, რომ კლება არის თუ მატებაა, შემდეგ ეს ძალიან უარყოფითად აისახება მის დამოკიდებულებაზე ექიმებისა და ზოგადად მკურნალობის მიმართ. დღეს აიწონა და პაციენტი იწონის 64 კილოგრამსა და 400 გრამს. ეს არის, წინა მონაცემთან შედარებით, მომატებული. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ასე გაგრძელდება, თუ ამას რაღაც გარე ფაქტორები ხელს არ შეუშლის, – განაცხადა ზურაბ ჩხაიძემ.

მისივე შეფასებით, პაციენტი იმ საკვების მესამედსაც არ იღებს, რაც მას სჭირდება.

– გასაგებია, რომ ვერ იღებს პაციენტი საკვებს, თუმცა იღებს ბევრად უფრო ძნელად ასათვისებელ, გადასამუშავებელ და მოსანელებელ საკვებს, ვიდრე ვთავაზობთ ჩვენ. ჩვენ ეს ყველაზე მეტად გვაწუხებს, რომ უარს აცხადებს სამკურნალო დანიშნულების მიღებაზე, მედიკამენტებზე, სამკურნალო დანიშნულებაზე და ასევე, სამედიცინო პროცედურებზე ამბობს უარს. ჩვენ მოვიწვიეთ სპეციალურად ცენტრებიდან, პირადად მე მქონდა შეთანხმება, ადამიანი, რომელიც ატარებდა ფიზიოთერაპიულ პროცედურებს და ჰქონდა ძალიან კარგი შედეგი, ტემპერატურის კლებაც იყო და ფაქტობრივად არ იყო ტემპერატურის მატება, როდესაც ეს პროცედურა უტარდებოდა და ამის შემდეგ ადამიანმა შეწყვიტა საერთოდ ამ პროცედურების გაგრძელება.

ეს არის მთავარი პრობლემა. მე იმედი მაქვს, რომ პაციენტი გაითვალისწინებს ჩვენს რჩევას, ჩვენს რეკომენდაციებს და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდება. ჩვენ ყველაზე მეტად ვართ დაინტერესებული, რომ მისი მდგომარეობა გაუმჯობესდეს, – განაცხადა ზურაბ ჩხაიძემ.

იტალიაში 32 წლის ქართველი ქალი დაჭრეს

იტალიაში 32 წლის ქართველი ქალი დაჭრეს. ადგილობრივი მედიის ცნობით, შემთხვევა ლიბერტას რაიონში მოხდა. ახალგაზრდა ქალის მდგომარეობა მძიმეა.

მედიის ცნობით, ქალს ჭრილობები შუახნის კაცმა ცეცხლსასროლი იარაღით მიაყენა.

პოლიციამ კაცი მალევე დააკავა.

დანაშაულის მოტივი ჯერჯერობით უცნობია.

ბათუმში საქალაქო სასამართლოს „მოლოტოვის კოქტეილი“ ესროლეს

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოლოტოვის კოქტეილი ესროლეს – ინფორმაციას „ბათუმელები“ ავრცელებს.

თვითმხილველების თქმით, შემთხვევა საღამოს, დაახლოებით 8 საათზე მოხდა.

„ბათუმელებს“ თვითმხილველებმა უთხრეს, რომ კოქტეილის გასროლის შედეგად არავინ დაშავებულა და ცეცხლი სასამართლოს თანამშრომლებმა სახანძრო-სამაშველო სამსახურის მისვლამდე ჩააქრეს.

ქალმა ნარკობარონი მოხიბლა და შემდეგ პოლიციას ჩააბარა

კოლუმბიელმა ქალმა, რომელმაც ადგილობრივი ნარკობარონის გამო ქმარი დაკარგა, ნარკოკარტელის ხელმძღვანელზე მეუღლის სიკვდილის გამო შური იძია. ქალმა სახიფათო დამნაშავე მოხიბლა და შემდეგ ის პოლიციას ჩაუგდო ხელში.

ქალაქ სიენაგა-დე-ოროს მკვიდრი რუბენ დარიო ვილორია ბარიოსი თავს წარმატებულ კომერსანტად ასაღებდა. მათი უმრავლესობა, ვინც მამაკაცს იცნობდა, მას ახასიათებდა, როგორც კეთილსინდისიერ მოქალაქესა და მორწმუნე ქრისტიანს, სინამდვილეში კი ორმაგ ცხოვრებას ეწეოდა. ის დანაშაულებრივ დაჯგუფებას ხელმძღვანელობდა და კრიმინალურ წრეებში ხუანჩოს სახელით იყო ცნობილი. ბარიოსი ნარკოტიკების მსხვილი პარტიების გადაზიდვას უზრუნველყოფდა სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის აშშ-ში. ის ასევე ორგანიზებას უკეთებდა კონკურენტებისა და ყოფილი პარტნიორების მკვლელობებს და იარაღითა და საბრძოლო მასალებით უკანონო ვაჭრობას ეწეოდა.

ხუანჩო მეტად ფრთხილი იყო და დანაშაულებრივ საქმიანობაში ღიად არ მონაწილეობდა. მის დანაშაულებრივ საქმიანობაში მონაწილეობაში ეჭვი ჯერ კიდევ 2020 წელს მიიტანეს. ის მაშინ პირველად დააპატიმრეს, თუმცა პოლიციამ დამამტკიცებელი სამხილების მოპოვება ვერ შეძლო. ამის შემდეგ ის თვალთახედვიდან თითქმის გაუჩინარდა და ელექტრონული ფოსტითა და სოციალური ქსელებითაც კი აღარ სარგებლობდა.

ერთ-ერთი მამაკაცის ცოლმა, რომელიც ხუანჩოს შეკვეთით იქნა მოკლული, მისი ნამდვილი საქმიანობის შესახებ სიმართლე იცოდა. მეუღლის გამოგლოვების შემდეგ ქალმა ხუანჩოს გარემოცვაში ჩანერგვა მოახერხა და იმდენი შეძლო, რომ ნარკობარონს თავი შეაყვარა. მალე ბარიოსი მას იმდენად ენდობოდა, რომ საკუთარი კრიმინალური იმპერიის მართვის საიდუმლოებებშიც კი ჩაახედა.

ქალი სამი თვის განმავლობაში პოლიციას ინფორმაციას აწვდიდა ბარიოსის დანაშაულებრივი დაჯგუფების საქმიანობასა და ხუანჩოს როლზე მის მართვაში. სწორედ ამის წყალობით მოხერხდა ნარკობარონის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის დაწყება.

ქალი ხელისუფლებას ასევე ხუანჩოს დაპატიმრებაშიც დაეხმარა. მან პოლიციას მიაწოდა ინფორმაცია, თუ სად და რა დროს შეხვდებოდა ის მისი დანაშაულებრივი დაჯგუფების დანარჩენ წევრებს. ოპერაცია „კორონას“ ფარგლებში, რომელშიც საგანგებო დანიშნულების რაზმი და ნაციონალური პოლიცია მონაწილეობდა, ბარიოსი დააპატიმრეს და ის ამჟამად სასამართლო პროცესს ელოდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

უკრაინელი ჯარისკაცები პოზიციებს ინარჩუნებენ

რუსეთ-უკრაინის ომში ახალი ეტაპი იწყება. განსაკუთრებით აღსანიშნავია უკრაინელთა წარმატებები ბახმუტთან, სადაც ფრონტის ყველა უბანზე უკრაინულმა არმიამ კონტრშეტევები განახორციელა. შედეგად მტრისაგან გათავისუფლდა არა მხოლოდ სტრატეგიული მნიშვნელობის ტრასა, არამედ მახლობლად მდებარე რიგი დასახლებული პუნქტიც. ამერიკელი ანალიტიკოსების ცნობით, ბახმუტზე ზეწოლა მკვეთრად შემცირდა, მაგრამ არ გამქრალა. ოკუპანტები აქ უდიდეს ზარალს განიცდიან. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ცდილობენ შეტევების გაგრძელებას.

ბახმუტი კვლავ მოინახულა უკრაინის სახმელეთო არმიის სარდალმა, გენერალმა სირსკიმ. მან გასცა რიგი განკარგულება, რაც ბახმუტის თავდაცვის გაძლიერებას უწყობს ხელს.

ამერიკელი ანალიტიკოსების აზრით, რუსები დარწმუნდნენ, რომ ბახმუტს პირდაპირი დარტყმებით ვერ აიღებენ, ამიტომ მოქმედების სიმძიმე ნელ-ნელა ავდეევკასა და მარინკასაკენ გადააქვთ. სამხედრო თვალსაზრისით ეს სწორი არ არის, რადგანაც ავდეევკა შემაღლებულ ადგილზეა განთავსებული და მისი აღება მართლაც პრობლემატურია. ამიტომ კანონზომიერია, რომ ავდეევკის მიმართულებით ოკუპანტებმა ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწიეს. მსგავსი სურათია მარინკასთანაც. რაც შეეხება უგლედარს, იქ რუსების შეტევები საერთოდ შეწყდა.

ამრიგად, დონბასის ფრონტზე მართლაც ძალზე ცხელა. ეს საშუალებას არ აძლევს რუსეთს, განახორციელოს ფართომასშტაბიანი ოპერაციები უკრაინის სამხრეთ რეგიონში. მართალია, რუსეთის პატრიარქი კირილე ოდესისა და ნიკოლაევის მოსახლეობას დაჰპირდა, რომ მარტში რუსული არმია მათ ქალაქებს აიღებდა, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა. სამაგიეროდ, უკრაინელები ააქტიურებენ დივერსიულ მოქმედებებს უკრაინის სამხრეთ რეგიონში, კერძოდ, მარიუპოლში, ბერდიანსკში, მელიტოპოლში, ნოვაია კახოვკაში და ა.შ. აღსანიშნავია მარიუპოლში ადგილობრივი მილიციის უფროსზე თავდასხმა. მას აუფეთქეს ავტომობილი. მილიციის უფროსი გადარჩა, მაგრამ დაშავდა. ამჟამად ის ჰოსპიტალიზებულია.

უდიდესი რეზონანსი ხვდა თავდასხმას მელიტოპოლის საოკუპაციო ადმინისტრაციის შენობაზე.

დონბასელ სეპარატისტთა საიტმა „რუსსკაია ვესნამ" მელიტოპოლის საოკუპაციო ადმინისტრაციაზე თავდასხმის" ფაქტი დაადასტურა, მაგრამ ამას საკუთარი ინტერპრეტაცია მისცა.

ამრიგად, დღევანდელ უკრაინაში შემდეგი სურათია: დონბასი ბრძოლის მთავარ ეპიცენტრად რჩება. მიუხედავად ამისა, ოკუპანტებმა წინ წაწევა ვერ შეძლეს. რაც შეეხება უკრაინის სამხრეთს, იქ რუსები უკვე თავდაცვით ბრძოლებს აწარმოებენ, უკრაინელი პარტიზანები კი სულ უფრო აქტიურდებიან.

რუსეთ-უკრაინის ომი ახალ ფაზაში შედის, როცა ინიციატივას კვლავ უკრაინელები ეუფლებიან.



ნატო რუსეთის ბირთვულ რიტორიკას გმობს

ნატოს გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმა რუსეთის ბირთვული რიტორიკა დაგმო. მან ხაზი გაუსვა, რომ პუტინის აგრესიული საუბარი მიზნად ისახავს დასავლეთის დაშინტაჟებას.

– ნატო ასეთ რიტორიკას სასტიკად გმობს! – თქვა სტოლტენბერგმა.

ზელენსკიმ ზაპოროჟიეს ოლქი მოინახულა

უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი ზაპოროჟიეს ოლქს ესტუმრა. მან მოინახულა სამეთაურო პუნქტი, გავიდა პოზიციებზე, გაესაუბრა ჯარისკაცებს.

უკრაინის პრეზიდენტმა მეომრებს იქვე გამოუცხადა მადლობა და ჯილდოებიც გადასცა.

ისრაელის პრეზიდენტი სასამართლო რეფორმის შეჩერებისაკენ მოუწოდებს

ისრაელში სასამართლო რეფორმის წინააღმდეგ გამოსვლები გრძელდება. აღსანიშნავია, რომ პრემიერმა ნეთანიაჰუმ პოზიცია შეიცვალა. თუ ჯერ კიდევ გუშინ ის აცხადებდა, რომ სასამართლო რეფორმის წინააღმდეგია, მაგრამ პარლამენტი სხვაგვარად ფიქრობსო, ახლა ნეთანიაჰუ რეფორმისადმი მხარდაჭერას არ მალავს.

ისრაელის პრეზიდენტმა ისააკ ჰერცოგმა სასამართლო რეფორმის შეჩერება მოითხოვა.

რუსეთი უკრაინას კვლავ ბომბავს

ბრძოლის ველზე განცდილმა მარცხმა რუსი ოკუპანტები გააააქტიურა და მათ უკრაინის ტერიტორიის დაბომბვა გააძლიერეს. კერძოდ, განხორციელდა დარტყმა კრამატორსკზე.

პასუხად უკრაინელებმა დაარტყეს დონეცკს, გორლოვკას, დონბასის სხვა ქალაქებს. ოკუპანტების რიგებში დიდი მსხვერპლია. სულ ომის დაწყებიდან დღემდე ოკუპანტებს შორის შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 3.602; საბრძოლო ბრონირებული მანქანები – 6.966; არტილერია – 2.653; ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემები – 277; თვითმფრინავები – 305; განადგურებულია 171.730 ოკუპანტი.

ამ დანაკარგების შემდეგ ოკუპანტებმა ირანული დრონებით დაბომბეს კიევი, ხარკოვი, დნეპრი, ვინიცა, ლვოვი და ა.შ. უკრაინელებმა დრონების უმეტესობა ჩამოაგდეს. მსხვერპლის შესახებ ზუსტი ინფორმაცია ჯერ არ არის.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

ბლოგერი შვილის გადასარჩენად მაიმუნებს შეებრძოლა

ავსტრალიელი ბლოგერი მაიმუნებს შეებრძოლა, რომლებიც ტაილანდში პხი-პხის არქიპელაგში დასვენების დროს მის შვილს თავს დაესხნენ.

38 წლის რაილი უაიტლუმმა და 29 წლის ელაინა კაარაუსუმ დილით ადრე თავიანთ ორ შვილთან ერთად პლაჟს მიაშურეს. მათ ცადეს, მაიმუნები მიეზიდათ, რათა ისინი შვილებისთვის ეჩვენებინათ, თუმცა – უშედეგოდ.

ავსტრალიელი წყვილი პლაჟზე მზის ჩასვლის მომენტისთვის დაბრუნდა. მოულოდნელად მათ აგრესიული მაიმუნები დაესხნენ თავს. ცხოველები შეეცადნენ, მათთვის ხელიდან გამოეტაცათ ხელჩანთები, რომლებშიც მათი საბუთები, ტელეფონები და ფული ეწყო, შემდეგ კი ბლოგერის უმცროს შვილს დაესხნენ თავს. ამ შემთხვევის ამსახველ ვიდეოზე ის მომენტი მოხვდა, როდესაც მამაკაცი თავგანწირვით ცდილობს, თავისი ერთი წლის შვილი გააფთრებული მაიმუნების ჯოგისგან დაიცვას. ბლოგერმა ცხოველების დაშინება მოახერხა. მან ერთ-ერთ მაიმუნს დაარტყა და ბავშვი ხელში აიტაცა. ამ ინციდენტის შედეგად ავსტრალიელმა სხეულზე უამრავი დაზიანება მიიღო.

აღსანიშნავია, რომ ამ დროს მამაკაცის მეუღლე წყალში ყვინთვით იყო დაკავებული და არ იცოდა, რა ხდებოდა სანაპიროზე. საბოლოოდ ავსტრალიელები იძულებულნი გახდნენ, სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად ექიმებისთვის მიემართათ. მათ ჭრილობები დაუმუშავეს და ცოფის საწინააღმდეგო აცრა გაუკეთეს.

ვეფხვმა ფიჩხის შემგროვებელი ორი ქალი დაგლიჯა

ნეპალის ქალაქ ბარდიას შემოგარენში ვეფხვმა ორი ქალი მოკლა, რომლებიც ფიჩხის შეგროვებით იყვნენ დაკავებული.

მტაცებელი ცხოველის ადამიანებზე თავდასხმა ნეპალისა და ინდოეთის საზღვარზე მოხდა, სადაც 55 წლის სამუნდრი ბუდხა ჩხეტრი და 50 წლის დხანსარი გურუნგი ფიცხის შესაგროვებლად იმყოფებოდნენ. ორივე ქალი დაიღუპა.

შემთხვევის ადგილზე სატყეო რესურსების მართვის ადგილობრივი სამმართველოსა და ნეპალის პოლიციის თანამშრომლები მივიდნენ. მტაცებლის მიერ დაგლეჯილი ქალების ცხედრები ადგილობრივ საავადმყოფოში ექსპერტიზის ჩასატარებლად გადაიტანეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კალეიდოსკოპი

თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის 100 წლის იუბილე რუსთაველის თეატრში აღინიშნა

თეატრის საერთაშორისო დღეს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილე რუსთაველის ეროვნულ თეატრში აღინიშნა.

თეატრის დიდ სცენაზე წარმოდგენილი იყო პერფორმანსი – „ქართული თეატრის ამბავი". საღამოზე ქართული თეატრის ისტორია გაცოცხლდა. ნიკოლოზ საბაშვილის რეჟისორობითა და ნიკოლოზ წულუკიძის შესრულებით, ანსამბლ „სუხიშვილებთან", ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრსა და მაესტრო ნიკა ნიკვაშვილთან ერთად საზოგადოებამ იხილა აქამდე უცნობი ქართული თეატრის იდუმალი ამბები და ფარდის მიღმა დარჩენილი მოგონებები, რომლებმაც დროსა და სივრცეში ამოგზაურა.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ რუსთაველის ეროვნული თეატრის მსახიობები და მომღერალი კატო კვარაცხელია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

„გარდაცვლილმა" მამაკაცმა საიქიო ცხოვრებაზე ისაუბრა

დიდი ბრიტანეთის მკვიდრმა, რომელმაც კლინიკური სიკვდილი გადაიტანა, „საიქიო" ცხოვრებაზე ისაუბრა.

დერბიშირელი 55 წლის კევინ ჰილი უიშვიათესი დაავადებით, კალციფილაქსიით იტანჯებოდა, რომლის დროსაც კალციუმი კანიხა და ცხიმგროვების სისხლძარღვებში გროვდება. ჩვეულებრივ, ეს დაავადება უფიქსირდებათ ადამიანებს, რომლებსაც კარდიოლოგიური პრობლემები აწუხებთ. გულზე ჩატარებული ოპერაციის შემდეგ მამაკაცის კანმა კვდომა დაიწყო, რაც მას საშინელ ტკივილს აყენებდა და ბოლოს ძლიერი სისხლდენა დაეწყო. სანამ ექიმები რამეს იღონებდნენ, ბრიტანელმა ორლიტრნახევარი სისხლი დაკარგა და გული გაუჩერდა.

მოგვიანებით ჰილიმ გაიხსენა, რომ კლინიკური სიკვდილის დროს ის მიხვდა, მოკვდა, თუმცა გრძნობდა არა შიშს, არამედ უშფოთველობას. მისი თქმით, ის გვერდიდან ადევნებდა თვალს იმას, თუ როგორ ცდილობდნენ ექიმები მის გადარჩენას.

ამ დროისთვის ბრიტანელი სრულიად გამოჯანმრთელებულია, ხოლო ექიმები მას „სასწაულ მამაკაცად" მოიხსენიებენ. გადატანილმა კლინიკურმა სიკვდილმა მამაკაცი აიძულა, თავისი ცხოვრებისეული პრიორიტეტებისთვის გადაეხედა. მისი თქმით, საავადმყოფოდან სახლში დაბრუნების შემდეგ ატმოსფერო მის ოჯახში უკეთესობისკენ შეიცვალა, ხოლო თავად ის ახლა უფრო ადვილად უმკლავდება სტრესს და შინაგანად უფრო მეტად გაძლიერდა.

პუმა ჯაკუზში მონებივრე მამაკაცს თავს დაესხა

ამერიკის კოლორადოს შტატის ქალაქ ნატროში პუმა თავს ოჯახურ წყვილს იმ დროს დაესხა, როდესაც ისინი ჯაკუზში იმყოფებოდნენ და მამაკაცს თავზე დაზიანებები მიაყენა.

წყვილმა შუაგულ ტყეში სახლი იქირავა და ღია სივრცეში ჯაკუზში ნებივრობდა. სწორედ ამ დროს დაესხა მათ თავს მტაცებელი ცხოველი. მამაკაცმა მოულოდნელად იგრძნო, რომ ვიღაც მას თავში ჩააფრინდა. მან ყვირილი ატეხა და ცოლთან ერთად ცხოველს წყლის შესხმა დაუწყო. ქალმა ხელი ფანარს დასტაცა, მიანათა და დაინახა, რომ მის ქმარს პუმა დაესხა თავს. ცოლ-ქმარმა ცხოველის დასაფრთხობად მთელი ხმით ყვირილი გააგრძელა. საბოლოოდ მკვეთრმა სინათლემ და ხმაურმა პუმა აიძულა, უკან დაეხია. მტაცებელი იქვე გორაკზე ავიდა და ზემოდან ადევნებდა თვალს ოჯახურ წყვილს. ცოლ-ქმარმა ამით ისარგებლა, სწრაფად ამოვიდნენ წყლიდან და სახლს შეაფარეს თავი.

როდესაც წყვილმა თავი უსაფრთხოდ იგრძნო, მამაკაცმა პუმის მიერ თავზე მიყენებული ჭრილობები მოიბანა, შემდეგ სახლის მფლობელს დაუკავშირდა და მომხდარის თაობაზე შეატყობინა. ის შტატის ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის თანამშრომელი აღმოჩნდა და მიღებული ინფორმაცია კოლეგებს გადასცა.

მალე შემთხვევის ადგილზე ორგანიზაციის თანამშრომლები მივიდნენ და, მიუხედავად იმისა, რომ გაყინული მიწის გამო მტაცებლის ნაკვალევს ვერ მიაგნეს, ირგვლივ ხაფანგები დააგეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

27 მარტი

ფეხბურთი

ევროპა 2024. შესარჩევი ეტაპი

ავსტრია-ესტონეთი	2:1
უნგრეთი-ბულგარეთი	3:0
ირლანდია-საფრანგეთი	0:1
მოლდოვა-ჩეხეთი	0:0
ნიდერლანდები-გიბრალტარი	3:0
პოლონეთი-ალბანეთი	1:0
მონტენეგრო-სერბეთი	0:2
შვედეთი-აზერბაიჯანი	5:0

ჯონჯაჯაფის ეროვნული თასი

მექსიკა-იამაიკა	2:2
აშშ-სალვადორი	1:0

აფრიკის ეროვნული თასი

ც.აფრიკა-მადაგასკარი	2:0
ს.სუდანი-კონგო	0:1
ანგოლა-განა	1:1
გვინეა ბისაუ-ნიგერია	0:1
ნიგერი-ალჟირი	0:1
ეთიოპია-გვინეა	2:3
სუდანი-გაბონი	1:0

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

მალაგა-ლეგანესი	2:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედეგები

განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ბოლო ტურის წინ მშვიდად მხოლოდ ლელო-სარასენსია

ლელო-სარასენსმა დიდი 10-ის რეგულარული სეზონი ტურით ადრე მოიგო, რაც ნიშნავს, რომ ფლეი ოფის პირველ ეტაპზე დაისვენებს და მეორე ეტაპზე ქუთაისის აიას ან რუსთავის ხარებს თბილისში უმასპინძლებს.

მე-17 ტურის დასკვნით მატჩში დიდ დიღმელებმა სტეფანწმინდის ყაზბეგს ბონუსით – 40:17 მოუგეს, 58 საცხრილო ქულა დააგროვეს და უახლოეს მდევრებს მისაწვდომ მანძილზე მეტით დაშორდნენ.

ყაზბეგს 40 ქულა დარჩა და მე-7 პოზიციაზეა. თუმცა, 1 ქულით ჩამორჩება არესს, ორით ყოჩებს და ოთხით ბათუმს. სტეფანწმინდელები დასკვნით ტურში ხარებს მასპინძლობენ და გამარჯვების შემთხვევაში საფლეიოფო ექვსეულში შესვლის შანსიც ექნება, რადგან, პარალელურად, ყოჩები ბათუმს სტუმრად ეთამაშება.

ქუთაისის აიამ თბილისის ლოკომოტივის წინააღმდეგობა დასკვნით ნახევარ საათში დასძლია, ოთხი გარდასახული ლელოთი 28 უპასუხო ქულა აიღო და ბონუსით, 35:10 გაიმარჯვა.

აიამ 2023 წელს ზედიზედ მეექვსე გამარჯვება მოიპოვა და კვლავ შეინარჩუნა „სარბიელის სინი". ამასთან, რიონისპირელებმა მეორე ადგილზე აინაცვლეს, რაც ფლეი ოფში გარკვეულ უპირატესობას მისცემს.

რუსთავის ხარებმა მოქმედი ჩემპიონი ბათუმი 20:12 დაამარცხა.

ამ გამარჯვების შემდეგ ხარები მეორე ადგილზე მყოფ აიას ქულებით გაუტოლდა და მხოლოდ დამატებითი მაჩვენებლებით ჩამორჩება. დასკვნით ტურში რუსთაველები ყაზბეგს სტუმრობენ, აია კი ხვამლს ეწვევა და გაირკვევა, ვინ დაიკავებს მეორე ადგილს, შესაბამისად, ვინ დაიბევებს შესარჩევი ფინალის საგზურს.

ბოლნისის ყოჩებმა თბილისის ხვამლს 43:29 სძლია და საფლეიოფო ექვსეულისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა, მაგრამ ჯერ თავი ქუდში ნამდვილად არ აქვს. ბოლნისელები მე-5 ადგილზე არიან, მაგრამ რთული მატჩი დარჩათ ბათუმთან.

ხვამლი 35 ქულით მე-8 ადგილზეა და ექვსეულში მოხვედრის შანსი აღარ აქვს, მაგრამ თბილისის აკადემიასთან ბოლოსწინა ადგილისა და პირველლიგელთან გადათამაშების თავიდან არიდებისთვის ჯერ კიდევ მოუწევს ბრძოლა.

რაც შეეხება აკადემიას, შინ 29:34 ქუთაისის არესთან დამარცხდა და 31 ქულით მე-9 პოზიციაზე რჩება და ოთხით ჩამორჩება ხვამლს. ეს ნიშნავს, რომ დასკვნით ტურში ბონუსით გამარჯვების შემთხვევაში, გადათამაშების ზონიდან თავის დაღწევის შესაძლებლობა ექნება. ბოლო ტურში „მხატვრები" აუტსაიდერ ლოკომოტივს ეთამაშებიან, ხოლო ხვამლი ქუთაისის აიას მასპინძლობს, რომელსაც ქულები თავად სჭირდება.

არესი სამი წელია, დიდ 10-ში თამაშობს. აქამდე თბილისში ერთი თამაშიც არ მოეგო. შანსი იმისა, რომ ეს ტრადიცია გაგრძელებულიყო, დიდი იყო, მაგრამ ქუთაისელებმა შეძლეს პირველ ტაიმში მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება და ნავსი გატეხეს. არესმა ამ გამარჯვებით 41 ქულა მოაგროვა, რითაც მე-6 ადგილზე აღზევდა და ფლეი ოფის შანსი დაიტოვა.

სატუნინიო ცხრილი:

1.ლელო	17	13	1	3	482-366	58
2.აია	17	11	1	5	394-302	52
3.ხარები	17	12	0	5	408-327	52
4.ბათუმი	17	9	0	8	406-309	44
5.ყოჩები	17	9	0	8	408-379	42
6.არესი	17	9	0	8	408-418	41
7.ყაზბეგი	17	8	0	9	327-364	40
8.ხვამლი	17	6	0	11	439-414	35
9.აკადემია	17	6	0	11	330-422	31
10.ლოკომოტივი	17	1	0	16	264-564	8

ფლეი ოფისთვის ბრძოლა გრძელდება

კავკასია-ქუთაისი 96:90

(19:19; 31:20; 24:21; 22:30)

სუპერლიგის მოქმედი ჩემპიონი ფლეი ოფს მიღმა დარჩენის ერთ-ერთი კანდიდატია. კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა ქუთაისმა თბილისში კავკასიასთან დაძაბულ ბრძოლაში – 90:96 წააგო და ის უპირატესობა, რომელიც უშუალო კონკურენტებთან მიმართებით ცხრილში ჰქონდა, დაკარგა.

ამ მომენტისთვის ქუთაისს 7 მოგების წილ 11 მარცხი აქვს და ცხრილში 9 ადგილზეა. შეგახსენებთ, რომ ფლეი ოფში 8 საუკეთესო გუნდი გადის და, შესაძლოა, ბრძოლაში ქულით ნაკლებით მე-10 მყოფი ტიტებიც ჩაებას. ერთი სიტყვით, ყველაფერი დარჩენილ 2 მატჩში გადაწყდება რომლებიც სამივე გუნდს – ტიტებს, ქუთაისსა და მარგვეთს რეგულარულ ჩემპიონატში დარჩათ.

რაც შეეხება კავკასიისა და ქუთაისის შეხვედრას, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბექა წივწივაძის გუნდმა საგმირო საქმე გააკეთა. კავკასიას სასტარტო ხუთეულის 2 მეფარე – ილია ლონდარიძე და აიზია ელისი აკლდათ. ეს იმას ნიშნავდა, რომ წივწივაძის გუნდს ფარქვეშა ბრძოლა თავიდანვე წაგებული ჰქონდა. მართალია, გუნდში იყო სამარქაფო ცენტრი, თუმცა ახალგაზრდა ნიკა ჯაიანს ის გამოცდილება და ძალა არ აქვს, რომ ქუთაისელთა გამობრძმედილ მეფარეებს არაფერი დაუთმოს.

ამიტომაც, გასაგები იყო ის ტაქტიკა, რომელიც კავკასიელებმა აირჩიეს. შორი სროლები, სწრაფი შეტევები, მეტი ინდივიდუალიზმი. ამან გაამართლა: ნიკოლოზ გაფრინდაშვილმა 10-დან 7 სამქულიანი ჩააგდო. ამას დაუმატოთ მალიქ დაფის 4-დან 4 სამიანი და ცხადი გახდება, რომ პერიმეტრზე კავკასიამ მეტოქე დაჯაბნა. საკუთარ თავზე თამაშის აღების დიდოსტატმა კრის მაკნილმა და მისნაირმა ჯასტინ ფორესტმა კი, შანსი ხელიდან არ გაუშვეს და ბურთს უმეტესად თავად აკონტროლებდნენ. თუმცა მხოლოდ მექულეობა არ იყო მათი კრედო – ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ თანაგუნდელს ისინი პასს არ უგვიანებდნენ და საბოლოოდ ორივემ 16 შედეგიანი გადაცემა გაიყო – თითოეულმა 8 პასი მიითვალა.

მატჩს დასაწყისიდან ბოლომდე კავკასია იგებდა. უპირატესობა 10 ქულის ფარგლებში ტრიალებდა, თუმცა რამდენჯერმე 16-17 ქულაზეც ავიდა. ბოლოში ვითარება დაიძაბა. კოტე ტუღუშმა მაინც მოახერხა გამარჯვების შანსის მოპოვება, როცა ბოლო წუთზე ქუთაისმა ჩამორჩენა 2 ქულამდე (90:92) შეამცირა. თუმცა, დასკვნით ეპიზოდში მაკნილმა და ფორესტმა თავისი სიტყვა თქვეს და კავკასიას გამარჯვება გაუნაღდეს.

ყველაზე შედეგიანიც მაკნილი გახდა – 29 ქულა, 8 პასი და 5 მოხსნა. გაფრინდაშვილის ანგარიშზე 31 ქულა და 2-2 მოხსნა-ჩაჭრა დაგროვდა. 14 ქულა მალიქ დაფმა, ხოლო 12 ქულა, 8 მოხსნა და 8 პასი ჯასტინ ფორესტის ანგარიშზეა. ქუთაისში 29 ქულით და 7 მოხსნით საუკეთესო იყო ჯარვის რეი. 21 ქულა ლუკა მაზიაშვილმა მიითვალა.

თსუ-მარგვეთი 93:77

(27:20; 16:21; 29:18; 21:18)

მარგვეთი არის ერთადერთი გუნდი, რომელსაც მიმდინარე სუპერლიგაში ყველაზე მეტი, 19 მატჩი აქვს ჩატარებული და, შესაბამისად, 1 შეხვედრის გამართვაღა დარჩა. რეგულარულის დასკვნით მატჩში მარგვეთის მეტოქე ვერაა, რომელსაც სუპერლიგიდან უკვე გავარდა და, რთული წარმოსადგენია, რომ მარგვეთს ფლეი ოფში გასვლის შანსი წაართვას. მარგვეთს თსუ-სთან რომ მოეგო, ფლეი ოფის საგზურს, ფაქტობრივად, გაიანაღდებდა, მაგრამ ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილმა გუნდმა მეტოქის უდიდეს პოტენციალს ვერაფერი მოუხერხა და 77:93 დამარცხდა.

თსუ-მ ძირითადი გამთამაშებლის გიორგი ცინცაძის გარეშე ითამაშა, მაგრამ ნაკრების წევრის არყოფნა ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილ გუნდს არ დასტყობია. უნივერსიტეტელებმა თავიდანვე მოიპოვეს ლიდერობა და მარგვეთი მდევრის როლში თავიდანვე აღმოჩნდა. მხოლოდ მეორე პერიოდის დასკვნით წუთებში იყოჩაღეს მარგვეთელებმა, როცა 10 ქულით ჩამორჩენილებმა დეფიციტი 2 ქულამდე შეკვეცეს.

რომ იტყვიან, შესვენებამ სულზე მოუსწრო თსუ-ს. უნივერსიტეტელებმა მესამე პერიოდი გაქცევით დაიწყეს და უპირატესობა უმალ ააცილეს 10-ქულიან ზღვარს. ჩერქეზიშვილმა არაერთი წუთშესვენება აიღო, მაგრამ იშტაზე მოსულ თსუ-ს ვერაფერი მოუხერხა. ათწუთეულის 29:18 მოგებით სახელმწიფო უნივერსიტეტელებმა სოლიდური უპირატესობა მოიპოვეს, რომელიც თამაშის ბოლომდე უპრობლემოდ შეინარჩუნეს.

ამ გამარჯვებით თსუ-მ დელტასა და ბათუმს გადაასწრო და მე-4 ადგილზე დამკვიდრდა.

უნივერსიტეტელთა შორის საუკეთესო შედეგი მალკოლმ დრამრაითმა დააფიქსირა, რომელმაც 19 ქულა, 7 პასი, 4 ჩაჭრა და 3 მოხსნა მოაგროვა. 25 ქულით ბომბარდირი ჯიმონ ჰენსონი გახდა. 14 ქულა – მიხეილ ბერიშვილმა, ხოლო 13 ნიკოლოზ დარბაიძემ მიითვალეს. მარგვეთში 24 ქულითა და 9 მოხსნით საუკეთესო მარქუს გილსონი გახლდათ. 17 ქულა რონი ოლიკინ ანგარიშზეა.

ტიტები-ბათუმი 96:82

(24:22; 25:23; 25:17; 22:20)

ბესიკ ლეჟავას გაწვრთნილმა ტიტებმა ბათუმს უმასპინძლა და სატურნირო თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა – 96:82.

ტიტები ბოლოსწინა ადგილზე იყო და წაგების შემთხვევაში ამ ადგილზე რეგულარულის დასრულების რეალური კანდიდატი იქნებოდა. ბოლოსწინა ადგილზე გასვლა იმას ნიშნავს, რომ ა ლიგის ფინალისტთან საკვალიფიკაციო სერიაში სუპერლიგაში ადგილის შენარჩუნება გიწევს. აქედან გამომდინარე, ლეჟავას გაწვრთნილ გუნდს მოგება ჰაერივით სჭირდებოდა და თითოეულმა წევრმა ამისათვის მაქსიმუმი გაიღო.

ტიტებმა თავიდანვე აქცენტი შორ სროლებზე გააკეთა. ფარქვეშ კი დარიუს ბელი კარგად ართმევდა თავს ბათუმელ ოპონენტებთან პაექრობას და პირველი პერიოდი მასპინძლების გამარჯვებით 24:22 დასრულდა. ტიტებმა მეორე პერიოდიც 2 ქულით მოიგო და დიდ შესვენებაზე 4-ქულიანი ლიდერობით გავიდა. თბილისურმა გუნდმა წარმატებული თამაში 15-წუთიანი შესვენების შემდეგაც განაგრძო და უპირატესობა 17 ქულამდე გაზარდა – 70:53.

ამის შემდეგ ბათუმელებმა ტაქტიკა შეცვალეს, ბრძოლის ასპარეზის სამწამიან ზონაში გადაიტანეს და, როცა შორი სროლებიც წაუვიდათ, ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირეს. ეს მოხდა ბოლო პერიოდის მე-3 წუთზე, ანუ თამაშის დასრულებას რომ 7 წუთი აკლდა. ტიტებს თითქმის მოგებული მატჩი ხელიდან ეცლებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა – აკაკი ლომოურის, სანდრო სანაძის და განსაკუთრებით კენდრიკ ტომპსონის შედეგიანობამ ტიტებს ის ლიდერობა დაუბრუნა, რაც მოსაგებად საკმარისი იყო.

ლეჟავას გუნდი დამაჯერებლად მივიდა გამარჯვებამდე ცხრილში უშუალო კონკურენტებთან – ქუთაისთან და მარგვეთთან ჩამორჩენა შეამცირა.

ტიტებში 19 ქულითა და 12 მოხსნით დარიუს ბელი გამოირჩა. 20 ქულა, 11 პასი და 4 ჩაჭრა კენდრიკ ტომპსონის ანგარიშზეა. 19 ქულა მიითვალა სანდრო სანაძემ, აკაკი ლომოურის ანგარიშზე კი 15 ქულა დაგროვდა. ბათუმში 21 ქულით და 14 მოხსნით საუკეთესო იყო ჯორდან სეშენსი. 18 ქულა და 7 პასი კაილი რიდლიმ დააგროვა.

სატუნინიო ცხრილი:

1.ოლიმპი	17	14	3	1491-1374	31
2.რუსთავი	17	13	4	1541-1336	30
3.კავკასია	18	12	6	1475-1460	30
4.თსუ	18	10	8	1540-1463	28
5.კაკტუსი	18	10	8	1379-1427	28
6.დელტა	19	9	10	1582-1524	28
7.ბათუმი	18	9	9	1517-1513	27
8.მარგვეთი	19	7	12	1480-1563	26
9.ქუთაისი	18	7	11	1489-1557	25
10.ტიტები	18	6	12	1517-1544	24
11.ვერა	18	2	16	1409-1659	20

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შერმადინი მეორეა, ბურჯანაძე დაბრუნდა

ქართველი ცენტრი გიორგი შერმადინი საკალათბურთო კლუბ ტენერიფეს ისტორიაში შევიდა. ჩვენებურმა გრან კანარიასთან მატჩში 15 ქულა ჩააგდო, სულ კი ტენერიფეს მაისურით 1.862 ქულა მოუგროვდა და გუნდის ბომბარდირებში მეორე ადგილზე გადაინაცვლა. პირველ ადგილზე 3.191 ქულით გერმან გონსალესია და მისი გადასწრება ურთულესი იქნება.

რაც შეეხება უშუალოდ გრან კანარიასთან შეხვედრას, დაძაბულ ბრძოლაში ტენერიფემ 81:77 მოიგო. შერმადინის სტატისტიკა ასეთი იყო: 21 წუთი, 15 ქულა (7/4 ორქულიანი, 8/7 საჯარიმო), 4 მოხსნა, 2 პასი. ქართველი ცენტრი „ბლოკებით" ძალიან დაეხმარა თანაგუნდელ მარსელინიო უერტასს, რომელმაც 22 ქულა ჩააგდო და მატჩის ბომბარდირი გახდა.

ტენერიფეს 23 ტურის შემდეგ 17 მოგება აქვს და სატურნირო ცხრილში მე-4 ადგილზეა. მომდევნო მატჩს 29 მარტს ასევე შინ მანრესას წინააღმდეგ გამართავს.

თორნიკე შენგელია და ვირტუს ბოლონია იტალიის ჩემპიონობისკენ მიიწევენ. სერია ა-ს მორიგ ტურში ვირტუსმა პესაროს უმასპინძლა 88:76 დაამარცხა, რაშიც ქართველმა ფორვარდმა სოლიდური წვლილი შეიტანა.

საქართველოს ნაკრების კაპიტანი სასტარტო ხუთეულში იყო და 21 წუთში 9 ქულა, 4 მოხსნა, 3 პასი და 2 ჩაჭრა მიითვალა.

თოკომ 5-დან 2 ორქულიანი, 2-დან 1 სამქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო, ბურთი არ დაუკარგავს.

შედეგად, შენგელიას სარგებლიანობის კოეფიციენტი 18-ს გაუტოლდა და ეს მასპინძელთა რიგებში მე-2 მაჩვენებელი იყო. საუკეთესო (23) დენიელ ჰეკეტი იყო, რომელმაც 13 ქულა და 8 პასი მიითვალა.

ვირტუსს 23 ტურში 19 მოგება მოუგროვდა, მომდევნო მატჩი კი 2 აპრილს, სტუმრად ტრიესტესთან ელის.

თვენახევრიანი პაუზის შემდეგ ბექა ბურჯანაძემ იტალიის ჩემპიონატში ითამაშა. მას თავის კლუბ რეჯიო ემილიაში ბოლოს 12 თებერვალს ჰქონდა ნათამაშები, რის შემდეგაც მოედანზე სერია ა-ს ბოლო ტურში გამოჩნდა. ემილიელები სტუმრად უმანავენეციას ეთამაშნენ და 69:78 დამარცხდნენ.

აღსანიშნავია, რომ რეჯო ემილიამ მე-2 ტაიმი 14 ქულით მოიგო, მაგრამ საწყის ნახევარში სუსტად გამოიყურებოდა, თამაშის გადარჩენა ვერ მოახერხა. ბურჯანაძემ მოედანზე 19 წუთი გაატარა და 4 ქულა, 7 მოხსნა და 1 ჩაჭრა მოაგროვა. ბექამ 2-დან 1 ორქულიანი და ორივე საჯარიმო ჩააგდო, 2 სამქულიანი ააცილა, ბურთი არ დაუკარგავს.

რეჯო ემილიას 7 მოგების წილ 16 მარცხი მოუგროვდა და სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზე რჩება. თუმცა, მე-12 ადგილზე მყოფ ბრეშას 1 გამარჯვებით ჩამორჩება. ბურჯანაძის კლუბი მომდევნო მატჩს 2 აპრილს შინ ჯივოვა სკაფატისთან ჩაატარებს.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. პეკინის მეორე სახელწოდება; 2. მადრიდის „რეალში" მოთამაშე 50-იანი წლების ცნობილი უნგრელი ფეხბურთელი; 3. ფრანგული სამხედრო ვერტმფრენმზიდი ხომალდი; 4. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 5. გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი; 8. კომერციული საქმიანობა; 9. ტერიტორიული ერთეული თურქეთში; 12. დრამატული სიუჟეტის მუსიკალური ნაწარმოები გუნდისა და ორკესტრისათვის; 13. თხელი დაბეგვილი ხორცის ნაჭრის კატლეტი; 16. სახელმწიფოების, პარტიების გაერთიანება; 17. ქართული ტელეკომპანია; 19. ქართული ხალხური ცხენოსნური თამაში; 20. ინდიელთა სოფლების სახელწოდება მექსიკაში.

თარაზულად: 6. კუთხე საქართველოში; 7. წრის ნაწილი, რომელიც შემოსაზღვრულია რკალითა და ორი რადიუსით; 8. პატარა მაღაზია-სახელოსნო იტალიაში; 10. ხელოვნური წყალსაცავი დუშეთის რაიონში; 11. კურორტი რაჭაში; 14. სამონასტრო კომპლექსი ქარელის რაიონში; 15. ქართველი შტანგისტი, მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი; 18. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 21. რიჰარდ შტრაუსის ოპერა; 22. ქართველთა სახელწოდება მაჰმადიანებში; 23. იაპონური იეროგლიფების სახელწოდება; 24. მანძილის საზომი ერთეული ზღვაოსნობაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ვერმელი; 2. ქობულაძე; 3. კლიჩკო; 4. მონცა; 5. დიპლოპეა; 8. შენგელია; 12. ჭორი; 13. კარაველა; 14. ალმაზა; 16. როლექსი; 18. სინჯი; 20. ზული.

თარაზულად: 6. ვერდილიო; 7. ბილტმორი; 8. შუქურა; 9. ჯეზვე; 10. ცაიტნოტი; 11. ჭინჭრაქა; 15. თაყაიშვილი; 17. ჟიგოლო; 19. ზიზიგაძე; 21. ნეოლინი; 22. ბაქტრიანი; 23. ქირურგი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. შენგელია; 2. სანდუ; 3. დეკალოგი; 4. სეგედი; 7. ებანი; 9. ციცქა; 12. აგლომერატი; 14. კოიოტი; 15. ხარკოვი; 17. კოდექსი; 20. ვერდი.

თარაზულად: 5. წეროვანი; 6. არეშიძე; 8. ჭიდაობა; 10. ბანკროტი; 11. მინდია; 13. ეპილოგი; 16. პატეფონი; 18. ტოლმა; 19. ჯრუჭი; 21. მესტია; 22. ევრიპიდე; 23. ბოქსიტი.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

29 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.5712	ევრო — 2.7828
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1654	100 რუსული რუბლი — 3.3532

ამინდის პროგნოზი 29 მარტისათვის

ლიონელ სკალონი: „არგენტინელ ხალხს ბედნიერება ვაჩუქეთ“

არგენტინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლიონელ სკალონიმ მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვებაზე ისაუბრა და თქვა, რომ ფეხბურთელებმა ხალხს უდიდესი სიხარული აჩუქეს და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია: „ადამიანები ქუჩაში მესალმებიან და მადლობას მიხდიან იმის გამო, რაც გავაკეთეთ. ეს შესანიშნავი გრძნობაა, როდესაც იცი, რომ ხალხს უყვარხარ და გაფასებს“.

სადიო მანემ შესაძლოა ბაიერნი დატოვოს

სენეგალელი ფორვარდი სადიო მანე მიუნხენის ბაიერნში ბედნიერი არ არის და შესაძლოა მან გუნდი დატოვოს. მანემ ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და მისი უკმაყოფილება სწორედ ამით არის გამოწვეული. მანე შესაძლოა ინგლისში დაბრუნდეს, თუმცა ეს გუნდი ლივერპული არ იქნება, რადგან, სადიოს თქმით, მას ახალი გამოწვევები სჭირდება.

რონალდ არაუხომ ტრავმა მოიშუშა

ბარსელონის ცენტრალურმა მცველმა რონალდ არაუხომ ტრავმა მოიშუშა და ის, დიდი ალბათობით, რეალის წინააღმდეგ შეხვედრაში შეძლებს მონაწილეობას. მატჩი 5 აპრილს გაიმართება. არაუხომ მცირე ტრავმა ერთ-ერთ ვარჯიშზე მიიღო და ამის გამო მან ურუგვაის ნაკრების რამდენიმე მატჩი გამოტოვა. შესაძლოა მოედანზე დაბრუნდეს უსმან დემბელეც, რომელიც უკვე ორი თვეა, ტრავმირებულია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ქალიშვილი მამას ეუბნება:
– მამა, მე გივის ცოლად არ გავყვები.
– რატომ, შვილო?
– ის ათეისტია და ჯოჯოხეთის არსებობის არ სჯერა.
– შვილო, შენ ცოლად გაჰყევი და დედაშენი აზრს ნამდვილად შეაცვლევინებს.

•••

გოგონა მოხუც მამაკაცს ეუბნება:
– ბაბუა, შარვლის კარი ღია დაგრჩენიათ...
– შვილო, როდესაც სახლში მიცვალებული ასვენია, კარს ყოველთვის ღიას ტოვებენ...

•••

მამაკაცი გოგონას ეკითხება:
– გოგონი, მომიტევეთ და ხომ ვერ მეტყვით, რას მიირთმევენ ქალიშვილები საუზმეზე?
– წარმოდგენა არ მაქვს.
– ჰოო! ასეც ვიფიქრე!

•••

ფსიქოლოგს ეკითხებიან:
– თავად თუ გჯერათ იმ ბოდვის, რომლითაც პაციენტებს არწმუნებთ?
– მე ფსიქოლოგი ვარ, გიჟი კი არა...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ზაირა არსენიშვილის უცნობი პროზა საჯაროა

მწერალ ზაირა არსენიშვილის უცნობი პროზა ერთ კრებულში გაერთიანდა და მკითხველს მისი გაცნობის საშუალება მიეცემა.

„ქარი, ამწევი ფარდის“ – ასე ჰქვია მწერლის პროზაულ კრებულს, რომელსაც მკითხველთა ფართო აუდიტორია პირველად გაეცნობა.

წიგნში თავმოყრილია ყველაფერი, რასაც ავტორი განიცდიდა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში. ის თვითმხილველთა მონათხრობს იწერდა ან თვითონ იყო ამა თუ იმ ამბის შემსწრე, შემდეგ კი მხატვრულ სახეს აძლევდა და მოთხრობებად აქცევდა მათ.

ამ მოთხრობებში ისმის გამოძახილი გლობალური, მსოფლიო მასშტაბის ისტორიული მოვლენებისა, რომლებიც საქართველოს ქალაქებსა თუ პატარა სოფლებსაც სწვდებოდა. აქ მეტ-ნაკლები სიძლიერითაა ნაჩვენები XX საუკუნის რუსეთში ბოლშევიკების გამარჯვების შედეგები, რევოლუციის შემდგომი მოვლენები, უმძიმესი 30-იანი წლები, მეორე მსოფლიო ომი თუ ხალხის ცხოვრება ომის შემდეგ.

და, რაც მთავარია, ამ ამბების მთავარი გმირები არიან ადამიანები, თავიანთი დადებითი თუ უარყოფითი თვისებებით. აქ მონაცვლეობს ღრმა ადამიანური სევდა და ხალასი იუმორი. ყოველივე ეს დაწერილია ზაირა არსენიშვილისთვის დამახასიათებელი არაჩვეულებრივი მდიდარი ქართული ენით.

თეიმურაზ ბაგრატიონის არქივს მასაჩუსეტსიდან ჩამოიტანენ

მარუსია ჭავჭავაძის ინიციატივით ეროვნულ ბიბლიოთეკას ქართული სამეფო გვარის ჩამომავლის თეიმურაზ ბაგრატიონის უმდიდრესი არქივი გადაეცემა, რომელსაც მასაჩუსეტსიდან უახლოეს მომავალში ჩამოიტანენ.

არქივი ეროვნული ბიბლიოთეკის ემიგრაციის მუზეუმში დაიდებს ბინას, რომელიც უნივერსიტეტიდან გურამ შარაძის შვილის, რუსუდან შარაძის ინიციატივით ეროვნულ ბიბლიოთეკაში, გუდიაშვილის 5 ნომერში გადავიდა.

ანჩისხატის ბაზილიკა დააზიანეს

ანჩისხატის VI საუკუნის ბაზილიკა ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, რომელიც დაზიანეს.

ინფორმაცია და ფოტოები ინტერნეტში დეკანოზმა ილია ჭიღლაძემ გაავრცელა:

– ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ანჩისხატის მე-6 საუკუნის ბაზილიკის აღმოსავლეთის ფასადის გახვრეტილი კედელი მილისთვის. არ იცი, წყალი შედის თუ გაზი.

შეგახსენებთ, რომ ყველა ნორმალურ ქვეყანაში ისტორიულ ძეგლებზე ელექტრო, გაზის, წყლის კომუნიკაციები მიწის/იატაკის ქვეშ შეჰყავთ და თვალისთვის უხილავია, რათა ძეგლის სიძველე და იერსახე არ დამახინჯდეს და არც ფასადის კედლებს ანგრევენ და ხვრეტენ.

ვალერიან შიუკაშვილმა ბათუმელი მსმენელისთვის სოლოკონცერტი ჩაატარა

პიანისტმა ვალერიან შიუკაშვილმა ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლაში კონცერტი გამართა.

კონცერტის შემდეგ ბათუმის სამუსიკო სკოლის დიდ საკონცერტო დარბაზში ხელოვნების აკადემიის დიპლომებით დაჯილდოვდნენ აჭარის სამუსიკო სკოლების ღვაწლმოსილი პედაგოგები, რომელთაც წლების განმავლობაში თავდაუზოგავი შრომით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რეგიონში კლასიკური მუსიკის განვითარებაში.

ბათუმის სამუსიკო სკოლის პედაგოგს ირინა ხერჟს ხელოვნების აკადემიის ჯილდო „მუსიკის დოქტორის წოდება“ მიენიჭა, რომელიც პირადად აკადემიის რექტორმა ვალერიან შიუკაშვილმა გადასცა:

– ხელოვნების აკადემიამ მადლობის სიგელით დააჯილდოვა სრულიად აჭარის სამუსიკო სკოლების ღვაწლმოსილი პედაგოგები, ხოლო ირინა ხერჟს მიენიჭა „მუსიკის დოქტორის წოდება“. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც დამეხმარა ამ ღონისძიების რეალიზაციაში.

ქართულ მრავალხმიანობას კონცერტი მიეძღვნება

8 აპრილს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში ქართული მრავალხმიანობისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართება. ეს იქნება ყველასათვის საყვარელი ქართული ჰანგებისა და უკვდავი ჰიტების საკონცერტო დღესასწაული.

საღამოში მონაწილეობას მიიღებენ „ქართული ხმები“, „შვიდკაცა“, „ალილო“, „ფორტე“, „თეატრალურის კვარტეტი“. ანსამბლები მსმენელის წინაშე წარდგებიან როგორც ინდივიდუალური, ასევე ერთობლივი საკონცერტო ნომრებით. მომღერლებს საორკესტრო თანხლებას დავით მაზანაშვილის ორკესტრი გაუწევს. კონცერტის რეჟისორი ბაკურ ბაკურაძეა, წამყვანი კი – ნიკოლოზ წულუკიძე.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

საგანძურის მცველ ელენე კავლელაშვილზე ფილმს გადაიღებენ

ეროვნული საგანძურის მცველ ელენე კავლელაშვილზე სპარტაკ ფარჯიანი დოკუმენტურ ფილმს გადაიღებს.

„საქართველოს საგანძურის შეუვალი მცველი“ – ასე ერქმევა ფილმს, რომელმაც კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში „დოკუმენტური/სამეცნიერო-პოპულარული კინოს ხელშეწყობა“ გაიმარჯვა.

ინფორმაცია ნინო მიქიაშვილმა გაავრცელა:

– ძალიან მაგარი ახალი ამბავი – საგანძურის შეუვალ და თავდადებულ მცველზე, ცხონებულ ელენე კავლელაშვილზე რეჟისორი სპარტაკ ფარჯიანი კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით დოკუმენტურ ფილმს გადაიღებს. ცრემლები მომდის სიხარულისგან.

სტეფანე მღებრიშვილი ამერიკაში კონცერტს გამართავს

მომღერალი სტეფანე მღებრიშვილი ამერიკაში 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, კონცერტს გამართავს:

– დადგა ჩემთვის ნანატრი მომენტი, რომ დავაანონსო ეს კონცერტი, რომელზეც დიდი ხანია, ჩემი მეგობარი და ამ კონცერტის ორგანიზატორი სალომე ლილუაშვილი ვმუშაობთ.

ბევრი მუსიკოსის ოცნებაა ამ დარბაზში კონცერტის გამართვა, რადგან მანჰეტენის უძველესი საკონცერტო დარბაზია, აღჭურვილი უახლესი ტექნიკით, სადაც თითქმის ყველა მეგავარსკვლავს აქვს გამართული კონცერტები.

ძვირფასო ქართველებო ამერიკაში, სულ რომ მწერდით, ერთიც აქეთ ჩამოდიო, ჩამოვდივარ და გვექნება ლაივი უმაგრეს ქართველ და ამერიკელ მუსიკოსებთან ერთად.

იმედია, დაუვიწყარ საღამოს გავატარებთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს! ბილეთების რაოდენობა მართლა შეზღუდულია!

ასტროპროგნოზი

29 მარტისათვის

ვერძი – ახალი საქმის დაწყება გაგიჭირდებათ. სანამ გადაწყვეტილებას მიიღებთ, კარგად დაფიქრდით და პრიორიტეტები გამოყავით. **კურო** – სურვილი გაქვთ, რაღაც შეცვალოთ, მაგრამ მოვლენებს ნუ დააჩქარებთ. მცირეოდენი ყურადღება დაუთმეთ ნათესავებსა და ახლობლებსაც. **გაუუბები** – ნერვებს გაუფრთხილდით. ნუ დაწვრილმანდებით. ერიდეთ კონფლიქტში ჩართვას. **ტირაბიები** – ცრუ განგაშს არ აჰყვეთ. ალკოჰოლს არ გაეკაროთ. სიმშვიდე და სიკეთე დღის დევიზია. **ლომი** – წარმატება გელით პროფესიულ საქმიანობაში. მეგობრის რჩევა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში დაგეხმარებათ. **ქალწული** – ახალი საქმე თქვენგან ენერგიასა და ნებისყოფას მოითხოვს. ამიტომ უმჯობესია, თუ ჯერ ძველ საქმეებს დაამთავრებთ. **სასწორი** – ცოტა დაბნეული ხართ. გაარკვიეთ კონფლიქტის მიზეზები და ისე იმოქმედეთ. **ღრიანკალი** – დაძაბული დღეა. წარმატების მიღწევაში დაბრკოლებები შეგხვდებათ, მაგრამ მათ გადალახავთ. **მშვილდოსანი** – შესაძლოა თქვენი პირდაპირობის გამო გარშემომყოფებთან ურთიერთობა გაგიმწვავდეთ. იყავით დიპლომატიური. **თხის რქა** – ფინანსური მდგომარეობა სახარბიელო არ არის. გელით გაუთვალისწინებელი ხარჯები. **მერწყული** – იღბალი თქვენ მხარესაა. გადაწყვეტილების მიღებისას სწორ გზას ადგახართ. **თევზები** – მოტყუების ალბათობა დიდია. ზედმეტი მიმნდობლობა და წინდაუხედაობა დაგაზარალებთ.

გისუხვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ბანკის მევალეთა სარეგისტრაციო დავთარი; 2. პირველი გერმანული ოპერა; 3. ფულის ერთეული უკრაინაში; 4. ერთი მსახიობის თეატრი თბილისში; 6. ამაღლებული სცენა მოდების ჩვენებისთვის; 9. რძის პროდუქტების მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 11. ხავერდის მსგავსი ხშირხაოიანი ბამბის ქსოვილი; 15. ისტორიული ციხე-ქალაქი კახეთში; 16. უბანი ძველ თბილისში; 17. მდინარე აშშ-ში; 19. საფოსტო გზავნილება; 21. თეთრეულის, ტანსაცმლის მოსართავად გამოყენებული ორნამენტებიანი ბადურა ქსოვილი; 22. ამერიკელთა მეტსახელი სამხრეთ ამერიკაში.

თარაზულად: 5. ქართველი მოქანდაკე ქალი; 7. ძვირფასი სარეწაო თევზი; 8. უნგრეთის პრემიერ-მინისტრი; 10. ფრანგული სამოდელო ფირმა; 12. თერმოდინამიკის ფუძემდებელი ფრანგი ფიზიკოსი; 13. ქართველ მეთევზეთა შრომის სიმღერა; 14. ქრისტიანული ღვთისმეტყველების გადმოცემა კითხვა-პასუხის სახით; 18. მამათა მონასტერი; 20. ქვევრის ღვინოში არსებული მთრიმლავი ნივთიერება; 23. ბოძების ჩასარჭობი მექანიკური მოწყობილობა; 24. ეგრისის მეფე; 25. პოპულარული კურორტი შვეიცარიაში; 26. მშენებლობაში გამოყენებული თიხისა და თაბაშირის გამომწვარი ნარევი; 27. სახელმწიფო აზიაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა